გაზეთი ბევრისა, „ვერსია" ერთი

# ვერსია

ფასი 50 თეთრი

№14 (909) 19 - 20 თებერვალი, 2014 წელი
ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

## პარლამენტარის ჩანაწერები

თემურ ჭყუასელი

გვ. 5



## რა ერქმევა ქართველ ლგბტ აქტივისტთა ფილმს?

რა სიურპრიზს გვიმზადებენ 17 მაისს? გვ. 4

## გზააბნეული ამბები

გვ. 3



რა ცვლილებები შეიდის კანონში

# ბიობრაზია

იყიდება თუ არა ღამის კლუბებში ნარკოტიკი

ბიკო ბირბიჭაძე: ამ სფეროში ვმუშაობ და აბსოლუტური პასუხისმგებლობით ვაცხადებ, არასოდეს მსგავსი არაფერი გამიგია

ნანუკა ჟორჟოლიანი: ბიო არ იქნება, სხვა რამ იქნება, ამიტომ ვფიქრობ, თუ ცნობილი სახეები მარიხუანას დეკრიმინალიზაციაზე ღიად ილაპარაკებენ, კარგი იქნება, რადგან ბიოს ნამდვილად სჯობს და ნაკლები სინთეტიკა გაჩნდება ქვეყანაში

**დიმიტრი ხუნდაძე:** საქართველოში ნარკოტიკების მომხმარებელთა რიცხვი საგანგაშოა!

## „საქართველოს ბანკის მომავლის ფონდმა" შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მხარდასაჭერად, პირველი საგრანტო კონკურსი გამოაცხადა

გვ. 7

კონკურსში გამარჯვებული პროექტების განხორციელებისთვის ბანკი 250 ათას ლარს გამოყოფს

საქართველოს ბანკი BANK OF GEORGIA

## ჰაერში გასროლილი 78 მილიონი და უნივერსიტეტი, რომელსაც ქაღალდზე აშენებდნენ

გვ. 2

## საყდრისი — კულტურული მემკვიდრეობა თუ საერთაშორისო სამეცნიერო თაღლითობა?

გვ. 6



ორი სკანდალური წერილი და მთავარი კითხვა — ვინ არის თომას შტორნერი?!

## „ჯეოსელში" დიდი ოდენობით გადასახადის დამალვის სამი ვერსია

უკავშირდება თუ არა საგამოძიებო მოქმედებები „რუსთავი 2"-ს და რატომ არ არის წინასაარჩევნოდ ნაცმოძრაობის დამფინანსებელთა ოფიციალურ სიაში „ჯეოსელი"

გვ. 9

# ჰაერში გასროლილი 78 მილიონი და უნივერსიტეტი, რომელსაც ქაღალდზე აშენებდნენ

გიორგი იაშვილი

**სამშენებლო კომპანია „ზიმოს“ დირექტორმა ზურაბ კიკნაძემ აჭარაში ბეზნესცენტრ „ბათუმი თაუერის“ მშენებლობა დაიწყო და ერთ მშვენიერ დღეს გამოუცხადეს, რომ ამ შენობაში, ბიზნესცენტრის ნაცვლად, ამერიკული ტექნოლოგიური უნივერსიტეტი განთავსდებოდა. მშენებელი დაიბნა, იფიქრა, აშენებულის დანგრევა მომიწევსო, მაგრამ მშვიდად აუხსნეს, ძველი პროექტით იხელმძღვანელე და მერე ჩვენი საქმე იქნება, რა და როგორ განთავსდებაო. შედეგად, მშენებლობა, რომელშიც დღემდე 78 მილიონ ლარზე მეტია დახარჯული, ისევ დაუმთავრებელი და უფუნქციოა.**



**„ამ შენობის დამთავრებას შეიძლება 5 მილიონი დასჭირდეს, შესაძლოა, 100 მილიონიც არ ეყოს, მე ხომ არ ვიცი, რას მეტყვის შემკვეთი“,** — აცხადებს კიკნაძე.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ მიხეილ სააკაშვილმა ბათუმში ამერიკული უნივერსიტეტის გახსნა და ამერიკული დიპლომების დარიგება მოინდომა. 2010 წელს, მოლაპარაკებების საწყის ეტაპზე, ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციისადმი საქართველოს მთავრობის მიერ წარდგენილი იყო იდეა ბათუმში ახალი ტექნოლოგიური უნივერსიტეტის შექმნის შესახებ. ხანგრძლივი კონსულტაციების, ეკონომიკური ანალიზის, ხარჯების, სარგებლის და ბენეფიციარების შეფასების შედეგად გადაწყდა, რომ ბათუმში ახალი ტექნოლოგიური უნივერსიტეტი ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციისთვის არ იყო მისაღები და აღარ მოხდა მისი კომპაქტში გათვალისწინება. აღსანიშნავია, რომ ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციამ თავიდანვე უარყო ბათუმში ტექნოლოგიური უნივერსიტეტის შენობის აგების იდეა, თუმცა მიუხედავად ამისა, საქართველოს წინა მთავრობის გადაწყვეტილებით მშენებლობა მაინც განხორციელდა. პრინციპში, კი არ განხორციელდა, დაიწყო და როგორც სხვა ბევრი რამ, მხოლოდ ფურცელზე გაგრძელდა, ოცნებებსა და ილუზიებში, ზუსტად ისე, როგორც ახალი ქალაქის, ლაზიკას მშენებლობის დროს.

2013 წელს ეს შენობა განათლების სამინისტრომ ბათუმის მერიას გადასცა და მაშინდელმა პრეზიდენტმა ბიძინა ივანიშვილს ამ გადაწყვეტილების გადახედვისკენ მოუწოდა. ეს იმის მიუხედავად, რომ წინა ხელისუფლებამ ვერ მოახერხა, ვერ იპოვა უნივერსიტეტი, რომელიც ამ შენობის მენეჯმენტს საკუთარ თავზე აიღებდა.

მიზეზი მარტივია — ბიზნესცენტრად დაწყებული შენობის გადაკეთება არ მოხდა და, გარდა იმისა, რომ ამ უზარმაზარ ნაგებობაში, ელემენტარულად, აუდიტორიების პრობლემა შეიქმნებოდა, არ იარსებებდა ლაბორატორიებისთვის საჭირო სივრცე. სააკაშვილმა რამდენიმე ლაბორატორია საწყის სამ სართულზე მაინც გახსნა, უახლესი ტექნიკით აღჭურვა და... იმის გამო, რომ ლაბორატორიას ელექტროენერგიის დავალიანება აქვს, დენის მიწოდება შეუწყდა და აპარატურაც გამოუსადეგარია. გამოსავალი განათლების მინისტრმა, თამარ სანიკიძემ მონახა და თან ისე, რომ არც ამერიკული ინვესტიცია დაიკარგა.

**„ინვესტიცია, რომელიც ამერიკის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში უნდა ჩადებულიყო, სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებზე დაიხარჯება. საუბარია ტექნიკური და საინჟინრო მიმართულებების განვითარებაზე. შედეგი იქნება ბევრად კარგი, ვიდრე ამერიკის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი იყო, ვინაიდან, ამჟერად, ეს არის ძალიან კარგად გათვლილი და დაანგარიშებული. 30 მილიონის ინვესტირება მოხდება უმაღლესი განათლების ნაწილში, დაფინანსება იქნება სახელმწიფოს მხრიდანაც. საუბარია, ტექნიკურ და საინჟინრო მიმართულებების განვითარებასა და ხარისხის ამაღლებაზე“,** — აღნიშნა სანიკიძემ.

განათლების მინისტრის მოსაზრებას სრულად იზიარებს ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის საქართველოს წარმომადგენლობის დირექტორი ჯიმ მაკნიკოლასი.

**„პარტნიორობის ფარგლებში, ქართულ და ამერიკულ უნივერსიტეტებს შორის ყურადღება გამახვილებული იყო სამეცნიერო და საინჟინრო პროგრამებზე, რომლებიც სტუდენტების კომპიუტერული კურსების მეშვეობით უნდა მიეწოდოს. ეკონომიკური ანალიზის შემდეგ ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია საკმაო კეთილგანწყობით შეხვდა ამ წინადადებას“,** — აცხადებს მაკნიკოლასი. მან არც ის დამალა, თუ როგორ უთხრა წინა ხელისუფლებას, რომ ამერიკული უნივერსიტეტის მშენებლობა მიზანშეწონილი არ იყო.

**„განვიხილეთ და შევაფასეთ წინა ხელისუფლების წინადადება ხარჯთაღრიცხვის თვალსაზრისით, ქვეყნის მდგომარეობის გათვალისწინებით, თუ რამდენად იყო ის გამართლებული თავის ხარჯითა და ეკონომიკური მონაცემებით. ასევე შევაფასეთ წინადადება პროგრამის ბენეფიციარებზე, ანუ საქართველოს მოქალაქეებზე გავლენის თვალსაზრისით. იმ დროს მიღებული შემოთავაზება არ იყო ყველაზე გამართლებული საქართველოს მოსახლეობის საჭიროებებიდან გამომდინარე“,** — ამბობს მაკნიკოლასი.

რეალობა ასეთია — წინა ხელისუფლების მიერ პომპეზურად დაანონსებული პროექტი ჩვეულებრივი აფერა გამოდგა. ვაშენებდით ამერიკულ უნივერსიტეტს მაშინ, როცა თავად ამერიკელები გვეუბნებოდნენ, რომ ეს მიზანშეწონილი არ იყო. ვხარჯავდით ათეულ მილიონობით ლარს და არავინ იცოდა, ბოლოს რა გამოვიდოდა. მთავარი ის გახლდათ, მოსახლეობას დაეჯერებინა, რაღაც კეთდება და ეს რაღაც არის, ახლა რომ ზედმეტ თავისტკივილს აჩენს. ახალი პროექტის მიხედვით კი, თანხები რაციონალურად იქნება გადანაწილებული და რაც მთავარია, შეღავათს რეგიონებში არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებებიც იგრძნობენ.



## რიჩარდ ნორლანდი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ნინო გიორგობიანს მადლობას უხდის

აშშ-ს ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ არასრულწლოვანთა ტრეფიკინგისა და საბავშვო პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლაში გაწეული მუშაობის გამო აღფრთოვანებას გამოხატავს და სამინისტროს მადლობას უხდის. ნორლანდის წერილში, რომელსაც შს მინისტრს ალექსანდრე ჭიკაიძეს უგზავნის, ვკითხულობთ: **„ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსა და ადგილობრივი უსაფრთხოების ოფისის სახელით, მინდა, თქვენს სამინისტროს მივულოცო ნანული წიკლაურისა და ტედი ნესის მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიების დასრულება. ხსენებული საქმე საჭიროებდა ამერიკულ, ებრაულ, ავსტრალიურ და გერმანულ სამართალდამცავ ორგანოებთან მჭიდრო თანამშრომლობას. გამოძიების მიმდინარეობის პროცესში ჩვენი რეგიონული უსაფრთხოების ოფისისა და სახელმწიფო უშიშროების სამსახურის მუშაკებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენი სამინისტროს სწრაფმა რეაგირებამ, მოწადინებამ და კომპეტენტურობის დონემ. განსაკუთრებით მინდა მადლობა გადავუხადო თქვენი ცენტრალური კრიმინალური დეპარტამენტის ტრეფიკინგის სამმართველოს უფროსს, ერეკლე მოძღვრიშვილს და ამ საქმეში წამყვან გამომძიებელს დიანა რობიტაშვილს ისევე, როგორც ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის კიბერდანაშაულის სამმართველოს უფროსს ტარიელ ალავიძეს თავდადებისა და პროფესიონალიზმისთვის. მინდა, ასევე მადლობა გადავუხადო თქვენი ინტერპოლის ნაციონალური ბიუროს ხელმძღვანელს, ალექსანდრე არაყიშვილს და ამავე სამსახურის საერთაშორისო ძებნის სამმართველოს უფროსს, გიორგი გიორგაძეს გაწეული შესანიშნავი სამეკავშირეო სამსახურისა და კოორდინაციისთვის. მადლობელი ვარ თქვენი სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელის ნინო გიორგობიანის, რომელმაც უზრუნველყო შესაბამისი მედიაგაშუქება და იმისთვის, რომ საჭირო გზავნილის სახით გაავრცელა ინფორმაცია, რათა ყველამ იცოდეს, რომ საქართველოში მსგავსი დანაშაულები არ რჩება რეაგირების გარეშე. თქვენო აღმატებულებავ, ბატონო მინისტრო, მინდა, აღფრთოვანება გამოვხატო თქვენ მიერ გაწეული იმ ბრძოლისათვის, რაც აწარმოეთ არასრულწლოვანთა ტრეფიკინგისა და საბავშვო პორნოგრაფიის წინააღმდეგ. იმედს გამოვთქვამთ, რომ ჩვენი თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება იმისთვის, რომ გამოვავლინოთ და დავაკავოთ ყველა ის პირი, რომელიც მსგავს შემაძრწუნებელ დანაშაულებს სჩადის“.**

საქმე ეხება არასრულწლოვნის გამოსახულების შემცველი პორნოგრაფიული ხასიათის სურათებისა და ვიდეოჩანაწერების უკანონო დამზადების, გავრცელებისა და გასაღების ფაქტს, რომელიც შსს-მ შარშან გახსნა. გამოძიებას, პარალელურად, აწარმოებდა აშშ-ს, ისრაელისა და ავსტრალიის სპეცსამსახურები. გამოძიებამ დაადგინა, რომ მსხვერპლი არის საქართველოს მოქალაქე, 11 წლის მცირეწლოვანი გოგონა, რომელსაც 2 წლის განმავლობაში აიძულებდა დედა, მონაწილეობა მიეღო პორნოგრაფიული სურათების და ვიდეოფირების გადაღებაში მატერიალური გამორჩენის მიზნით, რასაც ყიდდა ქართული წარმოშობის ისრაელის მოქალაქე მამაკაცზე.

*„ვერსიანიუსი“*

ვერსიანიუსი

## „გასაგებია, რომ ოპოზიციას სურს, სახლში წავიდეთ და ადგილი დავუთმოთ, მაგრამ ასე არ გამოვა“



პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა, მერების არჩევასთან დაკავშირებით, 50%-იანი ბარიერის განსაზღვრის საკუთარ ინიციატივაზე ოპოზიციის დამოკიდებულება შეაფასა და განაცხადა: **„ჩვენ ხალხმა აგვირჩია და საკმაოდ გრძელვადიანი გეგმები გვაქვს. მოითმინონ, იმუშაონ და დაარწმუნონ მოსახლეობა, რომ ჩვენზე უკეთესები იქნებიან, თუ ხალხი გადაწყვეტს, მათაც მისცემს ხმას“.** მისივე თქმით, საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით ინიცირებული კანონპროექტი რევოლუციურია.

**„ძალიან მწყდება გული, როცა ოპოზიციის წარმომადგენლები არ თუ ვერ აფასებენ წარმოდგენილ ცვლილებებს. ამაზე, უბრალოდ, ოცნებაც არ შეეძლოთ, სულ რაღაც 2 წლის წინ. კოალიციის ლიდერებს შევხვდი, შევთავაზე, ბარიერი 50%-ამდე აგვეწია, ამიტომ მოხდება შესაბამისი ცვლილება და მერი და ყველა გამგებელი ერთი პრინციპით აირჩევა. ამას გარდა, მთელი რიგი ღონისძიებები გავატარეთ და, როგორც საპარლამენტო, ისე არასაპარლამენტო ოპოზიციას თანაბარკონკურენტუნარიანი პირობები შევთავაზეთ“,** — განაცხადა ღარიბაშვილმა და დასძინა, რომ ხელისუფლება გამჭვირვალე პოლიტიკას აწარმოებს.

*„პია“*

# საქართველოში ნარკოტიკების მომხმარებელთა რიცხვი საგანგაშოა!



რუსუდან შელია
557-100-768

**23 წლის დათუნა ცხაკაიას ტრაგიკულმა გარდაცვალებამ საზოგადოება ნარკომანიაზე კიდევ ერთხელ დააფიქრა და ხელისუფლებამ სასწრაფო ზომები მიიღო — ბიონარკოტიკებზე კონტროლი მკაცრდება. ბიოქიმიური საშუალებები, რომლებისგანაც სხვადასხვაგვარი ბიონარკოტიკი მზადდება, არალეგალური ნივთიერებების ჩამონათვალში შევა და მათ წინააღმდეგ ნარკოტიკებზე გავრცელებული კონტროლის ყველა მექანიზმი იმუშავებს, თუმცა ამ მიმართულებით იქნება თუ არა პრევენცია მხოლოდ საკანონმდებლო ცვლილებების განხილვა, რატომ არ აქვს სახელმწიფოს ჩამოყალიბებული ნარკოპოლიტიკა და ვინ აგებს პასუხს ქვეყანაში ნარკოტიკების მოხმარების საგანგაშო სტატისტიკაზე, „ვერსიის“ კითხვებს ჯანდაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე დიმიტრი ხუნდაძე უპასუხებს.**

— მთავრობისა და ჯანდაცვის კომიტეტის ინიციატივით, ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების შესახებ კანონში ცვლილებები მზადდება. ამით საქართველო საერთაშორისო კონვენციას უერთდება, რომლის ფარგლებშიც, ბიოქიმიური ფორმულები არალეგალურ ნივთიერებებად განიხილება. ამ მიმართულებით სასჯელიც მკაცრდება — პირველი შემთხვევისას ადმინისტრაციული სასჯელი დგინდება, განმეორების შემთხვევაში კი, პირის მიმართ სისხლის სამართლის პასუხისგების საკითხი დადგება.

**— როცა საზოგადოება დედაქალაქში დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების შემოდინებაზე საუბრობს, მხოლოდ საკანონმდებლო ინიციატივებით ამ ტალღის შეჩერება ირეალურად არ გეჩვენებათ?**

— ადმინისტრირების საკითხი უკვე შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეროგატივაა, ჩვენ კი, კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების გასწორებაზე ვზრუნავთ. დიახ, მეც ვიზიარებ აზრს, რომ კანონის გამკაცრება კონტროლის სრულყოფილი მექანიზმის შესაქმნელად საკმარისი არ არის. კონკრეტულ მაგალითსაც გეტყვით: წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ კანონის თანახმად, ნარკოტიკული საშუალებებისა და მასთან გათანაბრებული ფარმაცევტული პროდუქტის ურეცეპტოდ გაყიდვის შემთხვევაში, საჯარიმო სანქცია გაიზარდა, თუმცა ფარმაცევტულ კომპანიებს მსგავსი პრეპარატის გაყიდვა უღირთ — ისინი სარგებელს მაინც იღებენ, რადგან მედიკამენტებზე ფასებმა აიწია. სწორედ ამიტომ პარლამენტში შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივა შემოვიდა, რომლის მიხედვითაც, პრეპარატის ურეცეპტოდ გაყიდვის შემთხვევაში, კომპანიების მფლობელებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრებათ. კომიტეტის უახლოეს სხდომაზე, შინაგან საქმეთა სამინისტროსგან იმასაც მოვისმენთ — როგორ აპირებენ ბიო ნარკოტიკების წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების აღსრულებას.

**— კაფე „გალერიში“ ბიონარკოტიკის ჭარბი მიღების შედეგად ახალგაზრდის გარდაცვალების შემდეგ, პრევენციულ ზომად აღნიშნული დაწესებულების დახურვა ჩაითვალა. ახლა იმ კლუბების შემოწმებაც იგეგმება, სადაც ნარკოტიკული პრეპარატები თავისუფლად იყიდება?**

— კონკრეტული პასუხი არც ამ კითხვაზე მაქვს, რადგან კლუბების შემოწმებაც ძალოვანი ორგანოების კომპეტენციაა. ამ მიმართულებით შინაგან საქმეთა სამინისტროს დავალება მივეცით და პასუხებს პარლამენტში უახლოეს დღეებში მოვისმენთ.

**— არც ის იცით, რატომ არ მოწმდება საფოსტო გზავნილები და, საერთოდ, შემოდის თუ არა ამ გზით ბიონარკოტიკი, „ვერსიამ“ მსგავსი ფაქტები ჯერ კიდევ 2010-1011 წლებში გამოაქვეყნა და, შესაძლებელია, ახალგაზრდები ბიონარკოტიკებს საზღვარგარეთიდან ამანათების სახითაც იღებდნენ...**

— კონტროლის მექანიზმი ჩემი შესამუშავებელი არ არის, მაგრამ, როგორც ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, ამ მიმართულებით ცვლილებებს ზედამხედველობას გავუწევ.

**— ის მაინც განმიმარტეთ, რატომ არ აქვს სახელმწიფოს ამ დრომდე ნარკოპოლიტიკა განსაზღვრული, მაინცდამაინც, კაფე „გალერის“ ინციდენტის შემდეგ უნდა დაფიქრებულიყავით ბიონარკოტიკებზე კონტროლის გამკაცრებაზე?**

— საქართველოში ნარკომიმართულებით ასეთი სურათი გვაქვს: კლასიკური ნარკოტიკები — სუბუტექსი და ჰეროინი, იაფფასიანმა ნარკოტიკულმა ნივთიერებებმა, მათ შორის, „კრაკადილმა“ ჩაანაცვლა. მასზე წვდომა დაბალნაზღაურებად პირებსაც აქვთ და მასში შემავალი ნივთიერებები სააფთიაქო ქსელში თავისუფლად იყიდებოდა. განსაზღვრული პრეპარატების ურეცეპტოდ გაყიდვის აკრძალვის შემდეგ „კრაკადილის“ დამზადება შეუძლებელი გახდა. ასე რომ, ამ ინიციატივამ საკმაოდ დადებითი ეფექტი გვაჩვენა და ნარკოპოლიტიკის მიმართულებითაც ნაბიჯი წინ გადავდგით.

**— დადებით ეფექტზე რის საფუძველზე საუბრობთ, სახელმწიფოს აქვს სტატისტიკა, დაახლოებით, რამდენი ადამიანი სარგებლობს თუნდაც ბიონარკოტიკული ნივთიერებებით ან რამდენი გარდაცვლილია ნარკოტიკების ჭარბი მოხმარების გამო?**

— მსგავსი სტატისტიკა წლების განმავლობაში არ არსებობდა, სახელმწიფო კონტროლს არ ახორციელებდა. ამგვარი მონაცემების მისაღებად გარკვეული პერიოდია საჭირო, რეალურ სურათი რომ მოგვცეს, თუმცა ფაქტი ჯიუტია — როცა ნარკოპოლიტიკაზე კანონმდებლობის ცვლა ასე მოკლე პერიოდში გვიწევს, ეს პირდაპირ მიანიშნებს, რომ საქართველოში ნარკოტიკების მომხმარებელთა რიცხვი საგანგაშოა!

**— ჩვენი ინფორმაციით, საგანგაშოა ექიმების მიერ ნარკოტიკების მოხმარების სტატისტიკა, აქ რა მექანიზმები ამოქმედდება?**

— საკანონმდებლო ცვლილებებში მსგავსი შემთხვევებიც გავითვალისწინეთ. მაგალითად, თუ დაფიქსირდა, რომ ადვოკატები და ექიმები ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებიან, მათ ხუთი წლის ვადით პროფესიული საქმიანობა აეკრძალებათ. პირადად ჩემი ინიციატივით, არასრულწლოვანებზე რეცეპტითაც კი ფსიქოტროპული წამლების გაცემა აიკრძალება. კანონის დარღვევის შემთხვევაში კი ფარმაცევტული კომპანიის წინააღმდეგ საჯარიმო სანქციაა გათვალისწინებული.

ანი ბეშიტაიშვილი
597-39-99-42

**კაფე „გალერიში“ მომხდარი ტრაგედია საზოგადოების პროტესტის საგანი გახდა. თითქოს მივიწყებული თემა — ბიონარკოტიკი, გულიკო ჩაფიძის 23 წლის შვილიშვილის გარდაცვალებამ განაახლა. ცნობადი სახეები ხელისუფალთ გააქტურებისკენ მოუწოდებენ და აცხადებენ, რომ ხელოვნურად შექმნილი ეს გამაბრუებელი საშუალება, რომელიც მძიმე ფსიქოზურ დაავადებებს იწვევს, ჩვენს ქვეყანაში იოლად იშოვება, მისი გამოწერა ფოსტით არასრულწროვნებსაც შეუძლიათ და კლუბებშიც თავისუფლად იყიდებაო. რა ხდება სინამდვილეში და გამოიღებს თუ არა შედეგს ნარკომანიასთან ბრძოლა გასართობი დაწესებულებების დახურვით? რა ვერსია აქვთ ამ ყველაფერზე იმ ადამიანებს, ვინც ღამის ცხოვრებით ცხოვრობს. „ვერსია“ პრომოუტერსა და საკლუბო ფესტივალების ორგანიზატორს, ბიკო ბირბიჭაძეს ესაუბრა.**



# ბიობრაზია

## იყიდება თუ არა ღამის კლუბებში ნარკოტიკი და როგორ უნდა ვებრძოლოთ ბიოს



**— ადამიანების გარკვეული კატეგორია, კლუბებს, ნარკოტიკების გასაღებისა და გარყვნილების ბუდედ მოიაზრებს.**

— ჩემთვის, ღამის ცხოვრებასთან ასოცირდება ელექტრონული მუსიკის ფესტივალები, პრომოუტერები, რომლებსაც ჩამოჰყავთ დიჯეები, ივენთმენეჯერები, გეგმავენ და ადმინისტრირირებას უკეთებენ მსგავს საღამოებს, საზოგადოება, რომლის 90 პროცენტი იქ მუსიკის მოსასმენად და გასართობად დადის, თანაც, მოგეხსენებათ, სოციალური ვითარება, კომუნიკაციის კარგი საშუალებაა. რა თქმა უნდა, შესაძლოა, ვინმე ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ კლუბშიც მივიდეს ისევე, როგორც კინოთეატრში ან მეგობართან სახლში, მაგრამ რაც შეეხება გასაღებას, საკმაოდ დიდი ხანია ამ სფეროში ვმუშაობ და აბსოლუტური პასუხისმგებლობით ვაცხადებ, არასოდეს მსგავსი არაფერი გამიგია. ეს სავსებით ლოგიკურია, თუ გავითვალისწინებთ საზოგადოების დამოკიდებულებას ნარკოტიკების მიმართ, ეს დაწესებულების პრესტიჟზე ცუდად აისახება და თანაც საკმაოდ წარმატებული ბიზნესი საფრთხის ქვეშ რატომ უნდა დააყენო?

**— რამდენად კონტროლდება ვითარება და რა ზომებია მიღებული უსიამოვნებების თავიდან ასაცილებლად?**

— დაცვის მექანიზმი საკმაოდ გამართულია. თითქმის ყველა პროექტში მუშაობს ფეისკონტროლი, რომლის დანიშნულებაცაა არაფხიზელ, არაადეკვატურ მდგომარეობაში მყოფი ადამიანები კლუბში არ შეუშვას, თუმცა შეიძლება რაღაც გქონდეს მიღებული, მაგრამ გარეგნულად არაფერი გეტყობოდეს, ყველაფერს ვერ გააკონტროლებ. სიმართლე გითხრათ, „გალერიში“, მტკვარზე და მსგავს ადგილებში, სადაც აქტიურად ტარდება ხოლმე ივენთები, კონფლიქტს, ფაქტობრივად, ვერ ვიხსენებ, შეიძლება იყო რაღაც, ოღონდ იმდენად უმნიშვნელო რომ, ყურადღება არც მიმიქცევია.

**— როგორ ფიქრობთ, რატომ შეუტია კლუბებს საზოგადოებამ, შეიძლება, მათი დახურვა საქართველოში ნარკომანიის პრობლემის მოგვარების ერთ-ერთი საშუალება იყოს?**

— ეს იმის ბრალია, რომ არ იციან, რეალურად, იქ რა ხდება. თანაც ახლა, ზოგადად, ფონია საზოგადოებაში საკმაოდ გამწვავებული, ნარკოტიკების მოხმარების შედეგად სიკვდილიანობის გახშირების გამო, განსაკუთრებით რამოდენიმე დღის წინ, კლუბში ახალგაზრდა ბიჭის გარდაცვალებამ (ამ სამწუხარო ფაქტზე კომენტარს შეგნებულად არ ვაკეთებ) საპროტესტო ტალღა ააგორა. ჩემი აზრით, აუცილებელია მკაცრი კონტროლი, როგორც ვიცი, ხელისუფლებამ მიიღო კიდეც რამოდენიმე საკანონმდებლო ინიციატივა, რომლის მიხედვითაც, იქნება მიღებული შესაბამისი პრევენციის ზომები და ეს ბიონარკოტოკი ასეთი ხელმისაწვდომი აღარ იქნება. დაწესებულების დახურვა კი, თუ ნარკოტიკების გასაღებასთან არავითარ კავშირში არ არის, სრულიად ალოგიკურია.

**მრავალი ადამიანის აგრესია გამოიწვია ნანუკა ჟორჟოლიანის მოწოდების ფორმამაც შინაგან საქმეთა მინისტრის მიმართ, რომელიც სოციალურ ქსელში გამოქვეყნდა: „მინდა, კიდევ ერთხელ მივმართო შსს მინისტრს!!! თქვენს ქვეყანაში ბიონარკოტიკი ყრია, ბატონო მინისტრო...“ ბუნებრივია, გაჩნდა კითხვები, რას ნიშნავს „თქვენს ქვეყანაში“, რისთვის გაემიჯნა საქართველოს, იქნებ ეს მთავრობის შეცვლამ განაპირობა? „ვერსია“ თავად ნანუკა ჟორჟოლიანს ესაუბრა:**

— გნებავთ, განიხილეთ იმ პოლიტიკურ ჭრილში, თითქოს, გავემიჯნე საქართველოს, ეს ხომ აბსურდია. ჩემს პოსტში მეტი პრობლემა თუ ვერ დაინახეთ, კი, ბატონო, ვიტყვი „ჩვენს ქვეყანაში“, არ არის პრობლემა.

**— ნანუკა, საქართველოში ნარკოტიკი რომ შემოდიოდა და ბიო ამის შესახებ ახლა გაიგეთ?**

— ახლა ნარკოტიკებზე აღარაა ლაპარაკი, ვსაუბრობთ ბიოზე, რატომ ეწევიან მას ბავშვები? იმიტომ, რომ სისხლში არ უვარდებათ და ხელისუფლება, ძველი მთავრობისგან განსხვავებით, მეტად ლიბერალური თუ იქნება მარიხუანას მიმართ, ეს ნამდვილად შეამცირებს სინთეტიკური საშუალებების მოხმარებას. არ შეიძლება, ადამიანი „ანაშას“ მოწევის გამო 7 წლით ციხეში ჩასვა, არც 50000-ლარიანი საპროცესო გარიგებები იყო სწორი, ის ერთი უკიდურესობა იყო, მეორე უკიდურესობა ისაა, რომ ბიოს გამოწერა, ინტერნეტით ჩემი შვილის კლასელსაც შეუძლია, თუ მოინდომებს.

**— ბიოარომატიზატორების გამოწერა ინტერნეტით წინა ხელისუფლების დროსაც იყო შესაძლებელი, ამის შესახებ „ვერსია“ არაერთხელ წერდა....**

— წინა ხელისუფლების დროს ფოსტა უფრო კონტროლდებოდა, ფიქრობთ, ბიოს ვინმე გააქრობს? წარმოუდგენელია, თუ რაღაც გამკაცრდება, კარგი იქნება, ფსიქოტროპულებზე ხომ მიიღეს ზომები? მთელი თბილისი ამბობს, რომ ფსიქოტროპულები გაქრა და ძაან მაგარია! ბიო არ იქნება, სხვა რამ იქნება, ამიტომ ვფიქრობ, თუ ცნობილი სახეები მარიხუანას დეკრიმინალიზაციაზე ღიად ილაპარაკებენ, კარგი იქნება, რადგან ბიოს ნამდვილად სჯობს და ნაკლები სინთეტიკა გაჩნდება ქვეყანაში. ეს ინიციატივა ერთ-ერთ გადაცემაში მაშინ გავაჟღერე, როცა ჩემი მეუღლე კრიმინალური პოლიციის უფროსი იყო. ნუ დაგავიწყდებათ, მე ვარ ადამიანი, ვისი ძმაც მარიხუანას მოხმარების გამო დაიჭირეს!

# არაჩვეულებრივი გამოფენა თუ მამაცი გული



## რა ერქმევა ქართველ ლგბტ აქტივისტთა მიერ გადაღებულ ფილმს?

გიორგი იაშვილი

**გაზაფხულის მოახლოება მთელ მსოფლიოში რაღაც ახალთან, სიცოცხლესთან ასოცირდება. ასე იყო საუკუნეების განმავლობაშიც საქართველოში, მაგრამ ახლა პოლიტიკოსთა მთავარი საფიქრალი მოახლოებული 17 მაისია. შარშან ამ დღეს რაც მოხდა, ყველას კარგად მოგეხსენებათ და უკეთესს არც წლევანდელი გვპირდება. ქართული პოლიტიკური სპექტრი ორ ცეცხლს შუა იწვის — აქეთ მორალი და მრწამსი, იქეთ კიდევ შემართული ევროპა და ამერიკა, რომლებიც კატეგორიულად ითხოვენ ადამიანთა ნების გამოხატვის თავისუფლებას და, რაც მთავარია, ლგბტ ადამიანებს თავზე ხელს უსვამენ, აქაოდა, ესენიც საზოგადოების ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი წევრები არიან და არ შეეხოთო. ვერ გეტყვით, რას ფიქრობენ ამერიკელები და ევროპელები იმაზე, ლგბტ აქტივისტები პლაკატებითა და ფერადი დროშებით სკოლებთან რომ ჩაივლიან, მომავალი თაობა რა ხასიათზე დადგება, მაგრამ ფაქტია — წლევანდელ 17 მაისს რადიკალურად განწყობილებიც უფრო მომზადებული შეხვდებიან და ფერადად შეღებილი ყმაწვილებიც.**

ამას გარდა, საზოგადოებას კიდევ ერთი სიურპრიზი ელოდება. ჩვენი ინფორმაციით, წინა 17 მაისის შემდეგ, ლგბტ-ს ოფისში მშვიდად არ მსხდარან და სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი გადაუღიათ. მასში მონაწილეობას ქართველი ლგბტ აქტივისტები იღებენ და, რბილად რომ ვთქვათ, მძაფრი სიუჟეტებიც მრავლად არის, მაგალითად ისეთი, ერთ ოთახში მხოლოდ მამაკაცები, ან მხოლოდ ქალები რომ არიან და მაინც „ღალატის“ ხმა ისმის. სიმართლე გითხრათ, არ ვიცით, რომელი კინოთეატრი აპირებს ამ ფილმის პრემიერის მოწყობას, მაგრამ ბილეთიანებსა და უბილეთოებს შორის საინტერესო დისკუსია რომ გაიმართება, დაანონსება ახლავე შეიძლება. არც ფილმის სახელწოდება ვიცით და ევროპასა და ამერიკას თავი რომ მოვაწონოთ, ეგებ სათაური თავად შევურჩიოთ.

ჩვენი აზრით, ეს ფილმი ნამდვილი კლასიკა იქნება და ამიტომ ძველი კლასიკური ფილმების სათაურები მოუხდება. თუ იმას გავითვალისწინებთ, რა ვნახეთ შარშან 17 მაისს, ფილმს შესაძლოა „არაჩვეულებრივი გამოფენა“ ერქვას. თუ ფილმში მსახიობებთან ერთად ცხოველებიც არიან დაკავებული, მაშინ სათაურად „ვინ შეკაზმავს ცხენს“ გამოდგება. არ არის გამორიცხული, ფილმში ისიც იყოს ნაჩვენები, ოპერაციის შედეგად როგორ იცვლის სქესს ერთი ადამიანი და მაშინ აუცილებლად „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ უნდა დავარქვათ.

ჩვენი ინფორმაციით, გადაღებები დახურულ სივრცეში არ არის და ლგბტ ლიდერები თუ წევრები ბუნებაშიც გადიან. „კოჯრის ტყის სიზმრები“ ან „ჯადოსნური ღამე“ როგორია? დახურულ სივრცეს კი „აურზაური სალხინეთში“ ან „სიყვარული ყველას უნდა“ მოუხდება.

არ გეგონოთ, მხოლოდ ეროვნული ფილმების სათაურებით შემოვიფარგლებით. პირიქით, ევროპასა და ამერიკას რომ ესიამოვნოთ, მათი კლასიკური ფილმების სათაურიც უნდა მოვუხდინოთ ქართველ ლგბტ-თა შედევრს. „მამაცი გული“ პირდაპირ გულში მოსახვედრად ჟღერს ისევე, როგორც „პატრიოტი“ ან „ოუშენის 11 მეგობარი“. „დონ კიხოტის“ დარქმევაც შეიძლება, მაგრამ მერე რომ დავფიქრდი, ამ ფილმში მთავარ გმირს ძალიან გრძელი შუბი აქვს და ამ ჩვენმა ლგბტ-ბმა არაფერი მოიწიონ. სამაგიეროდ, „რიგითი რაიანის გადასარჩენად“ აშკარად მიესადაგება, კაცმა არ იცის, ვის დასჭირდება გადარჩენა და დონ კიხოტის შუბთან შედარებით, ამ ფილმში თოფების ხიშტები აშკარად მოკლეა. გააჩნია, სცენარი როგორ ვითარდება, თორემ ეგებ „ფორესტ გამპიც“ მიესადაგებოდეს და ფილმის ფინალში ყველა გმირმა ერთად იყვიროს, „გაიქეცი, ფორესტ, გაიქეცი“. სერიალების გარეშე ერი აღარ თუ ვეღარ ცხოვრობს და მათი სახელების დარქმევაც შეიძლება. მით უმეტეს, 17 მაისი ყოველ წელს მოდის და ეჭვი გვაქვს, ამ ფილმს გაგრძელებასაც მოაყოლებენ. „გატეხილი გული“, „ველური ვარდი“, „სიყვარული და სასჯელი“ — როგორია? აშკარად საინტერესო და მრავლისმთქმელი...

მოკლედ, ფილმების სათაურებს ამოარჩევენ (მერე არ თქვათ, რჩევა-დარიგება არ მოგიციათო), მაგრამ იცით, ყველაზე საინტერესო რა არის? პატარა ბავშვი მშობელს რომ შეეკითხება, ბიჭი ბიჭს რატომ კოცნის, ან გოგო გოგოს რატომ ეხუტებაო, რა ვუპასუხოთ? პატარაობისას, ერთ-ერთი ფილმის ცქერის დროს, მამაჩემს ვკითხე, კაცი ქალს რომ კოცნის, პირს რატომ აღებს-მეთქი და მიპასუხა, ჰაერი არ ჰყოფნით და რომ არ გაიგუდონო. მაშინ 5 წლის ვიყავი და პასუხმა დამაკმაყოფილა, ახლა კი... არ გაიგუდოთ, ბატონებო... პრინციპში, რაღა ბატონებო, მაგის გარკვევასაა რომ ვცდილობთ, ამ ლგბტ აქტივისტებში ვინ ბატონია და ვინ ქალბატონი და დღემდე ვერ გაგვირკვევია.

**P.S. თუ ლგბტ აქტივისტებს საკუთარი ჭიის გასახარად აღლუმის ჩატარება სჭირდებათ, ჩვენ, რიგით ადამიანებს, არ გვაქვს უფლება, ის, რაც არ გვსიამოვნებს, უბრალოდ, ავკრძალოთ ან მისი აკრძალვა მოვითხოვოთ? იმათი უფლებები თუ ირღვევა, ჩვენ, უმრავლესობას (საბედნიეროდ) არანაირი უფლებები არ გვაქვს თუ ესეც ამერიკას უნდა ვკითხოთ? არადა, ჩვენი მამების დროს გამოთქმა იყო, მოსკოვს დაეკითხებიო და, როგორც ჩანს, ადრესატი შეიცვალა, თორემ დაუკითხავად ისევ ვერაფერს ვწყვეტთ.**

საინფორმაციო მხარდაჭერა

СВОБОДНАЯ ГРУЗИЯ



# მორიგი ვა-ბანკი თუ ოპოზიციის სარკე

გიორგი იაშვილი

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მოახლოებასთან ერთად, პოლიტიკურ სპექტრში დუღილის ტემპერატურა იწევს და ნელ-ნელა იმ ზღვარს უახლოვდება, როცა პოლიტიკოსები ერთმანეთს აღარ დაინდობენ და ღია იერიშზე გადავლენ. თუ გახსოვთ, შარშან, საპრეზიდენტო არჩევნებზეც ასე იყო და მაშინ, როცა საპარლამენტო თუ არასაპარლემენტო ოპოზიცია ამტკიცებდა, გიორგი მარგველაშვილს რეიტინგი არ აქვს და არჩევნებზე მინიმუმ მეორე ტური გაიმართებაო, იმჟამინდელმა პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა თამასა ძალიან მაღლა აწია და განაცხადა, თუ მარგველაშვილი 60-დან 70 პროცენტამდე არ მიიღებს, ასეთი გამარჯვება არად მიღირსო. მარგველაშვილმა ივანიშვილის ნაწინასწარმეტყველები შედეგი დადო და ოპონენტებმაც ნელ-ნელა იყუჩეს.

თვითმმართველობის კოდექსზე მუშაობამ ბოლოს ისეთი ფორმა მიიღო, რომ საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიცია ხელისუფლებას ბრალს კანონის საკუთარ თავზე მორგებაში სდებდა. მთავარი კრიტიკა საარჩევნო ბარიერზე მოდიოდა, რომლის 50 პროცენტამდე გაზრდას ოპოზიციის ლიდერები ჯიუტად ითხოვდნენ და თან ხელისუფლებას ანამუსებდნენ, იცით, რომ თქვენი კანდიდატი თბილისში ხმების ნახევარს ვერ მიიღებს და თავს იზღვევთო. ჰოდა, ივანიშვილის მემკვიდრემ ირაკლი ღარიბაშვილმა არანაკლებ გარისკა და თანაგუნდელები დააჯერა, რომ ბარიერის 50 პროცენტამდე გაზრდა არანაირი პრობლემა არ იქნებოდა. ის, რომ ამ კანონს დღე-დღეზე ოფიციალურად დააჩაქუჩებენ, პირადად ღარიბაშვილის გადაწყვეტილებაა, რადგან პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ზვიად ძიძიგურმა აკი განაცხადა, ჩვენ წინააღმდეგნი ვიყავით, მაგრამ ბატონმა ირაკლიმ ყველაფერი დეტალებში აგვიხსნაო.

რა გამოდის? ღარიბაშვილი რისკავს თუ პირიქით — ცდილობს, ყველას დაანახოს, რომ მმართველ გუნდს არანაირი გამოწვევის არ ეშინია? რეალურად ხომ თვითმმართველობის არჩევნებზე ამომრჩეველთა მოყვანაც ძნელია და ამას გარდა, დედაქალაქში 50 პროცენტი სახუმარო საქმე არ არის. მეორეს მხრივ, თუ დავით ნარმანია პირველივე ტურში გაიმარჯვებს (და ძალიან დიდი ალბათობით, ასეც იქნება), მაშინ არასაპარლამენტო ოპოზიციაზე რომ არაფერი ვთქვათ, საპარლამენტო ოპოზიციაც იძულებული იქნება, სარკეში ჩაიხედოს და იქ ურეიტინგო და პოლიტიკურად გაძვალტყავებული პარტია დაინახოს.

და რა მოხდება მაშინ, თუ ნარმანია პირველ ტურში ვერ გაიმარჯვებს? ძალიან საეჭვოა, ოპოზიციამ გაერთიანება შეძლოს, რადგან დღეს ოპოზიციური სპექტრი ასეა დაყოფილი — ნაციონალები და დანარჩენები, რაც იმას ნიშნავს, რომ საპარლამენტო ოპოზიციასთან გარიგებაში არავინ შევა, მხოლოდ საკუთარი რესურსებისა და იმის იმედად, რომ გიგი უგულავას მალე თბილისის ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარედ აირჩევენ, შეუძლებელია.

ზოგადად, ქართულ პოლიტიკაში პროცენტებთან თამაში, ჯერჯერობით, მხოლოდ „ქართულ ოცნებას“ გამოსდის. თავად განსაჯეთ, საპარლამენტო არჩევნებზე ახალი მემარჯვენეების ლიდერმა დავით გამყრელიძემ თქვა, თუ პარლამენტში ვერ შევალთ, პოლიტიკიდან მივდივარო და წასვლა მოუხდა. შემდეგ იყო საპრეზიდენტო არჩევნები და კობა დავითაშვილის განცხადება, რომელმაც ამომრჩეველს სამი პროცენტი სთხოვა, ვერ მიიღო და ჩრდილში დგას. „ქართული ოცნება“ კი ციფრების დასახელებას არ ერიდება და დანაპირებს ასრულებს.

სხვათა შორის, ჩვენი ინფორმაციით, თბილისის მერის პოსტზე კენჭისყრას არ აპირებს არც შალვა ნათელაშვილი, არც ნინო ბურჯანაძე და არც კახა კუკავა, ანუ არასაპარლამენტო პარტიები, რომლებიც მეტ-ნაკლებად ჩანან. ისინი ახლა კონსულტაციებს მართავენ და ერთ კანდიდატზე აპირებენ ჩამოყალიბებას, თუმცა გვეეჭვება, ნათელაშვილმა ამ კონსულტაციებში ბოლომდე გაძლოს და დიდი ალბათობით, მერობის კანდიდატად გიორგი გუგავას დაასახელებს. ეს თემა ლეიბორისტულ პარტიაში აქტიურად განიხილება, თუმცა ჯერჯერობით, თავად გუგავა ითრევს ფეხს, რადგან საკუთარი შანსები ყველაზე კარგად თავად იცის. ვინ იქნება ბურჯანაძე-კუკავა-მემარჯვენეების რჩეული, დრო გვიჩვენებს, თუმცა ამბობენ, ისინი ამ ეტაპზე პოლიტიკიდან შორს მდგარ ადამიანს დაასახელებენო.

დასასრულ — ამას წინათ ბიძინა ივანიშვილმა თქვა, ძალიან მომწონს, როგორ მუშაობს ღარიბაშვილი, მან სამინისტროების საქმიანობაში დეპარტამენტების დონეზე ჩაიხედა და თან ისე, ჩემთვის არაფერი უკითხავსო. ეჭვი გვაქვს, ღარიბაშვილი ივანიშვილს არც ამ 50-პროცენტიანი ბარიერის დაწესებაზე დაეკითხებოდა, რაც საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ დაანონსებული შიში — ივანიშვილი რუხი კარდინალი იქნება და მთავრობას გააკონტროლებსო, საპნის ბუშტივით გასკდა. საქართველოს დამოუკიდებელი პრემიერი და მთავრობა ჰყავს, რაც მათი გადაწყვეტილებებიდანაც ნათლად ჩანს.

## პარლამენტარის ჩანაწერები

> **ხეკორძულას წყალი მისვამს,**
> **მცხეთა ისე ამიგია,**
> **დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს,**
> **რატომ კარგი აგიგია.**

# გზააბნეული ამბები



## თემურ ჭკუასელი

გურიაში, ერთმა ჭარმაგმა და დარბაისელმა კაცმა გამაგონა ერთხელ — თუ გონება გიჭრის, ბიძიკო, პატიოსანი კაცი ხარ და, რაც მთავარია, ქვეყანა გიყვარს, ე, მაშინ შეგიძლია პოლიტიკოსობაზე იფიქროო... პირველზე ანუ გონებაზე ვერაფერს გეტყვით, დანარჩენ ორს კი, მგონი, ვაკმაყოფილებ, მაგრამ ამის მიუხედავად, პოლიტიკოსობა გულში მაინც არასოდეს გამივლია. თუმცა, ხომ გაგიგონიათ, კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო... ჰოდა, ეტყობა, ჩემს ბჭობაზე იმდენი იცინა მამაზეციერმა, რომ მოსახდენი მოხდა და უფრო გარკვეული მოვალეობის, ვიდრე საკუთარი სურვილის გამო აღმოვჩნდი პარლამენტში.

ამის ერთ-ერთი ცოტა გაუგებარი შედეგი კი ისაა, რომ თითო კვირის გამოტოვებით, ყოველ სამშაბათს, უთენია ვჯდები საკუთარი მანქანის საჭესთან და ქუთაისში მივემგზავრები. ამ წელიწადნახევარში მანქანა ისე მიეჩვია ამ გზას, რომ ხანდისხან აღარც კი მემორჩილება, ვქოქავ თუ არა, ჯიუტად ქუთაისისკენ მიიწევს. მცხეთაში მქონდა საქმე ამას წინათ და ქუთაისისკენ წავიდა. ძლივს გადავაფიქრებინე და დავაბრუნე უკან.

ხუმრობა იქით იყოს და, ქუთაისამდე და მერე უკან, მანქანაში მარტო ვარ, სამი საათი იქით, სამი აქეთ. ჰოდა, ვფიქრობ და ვფიქრობ, ვინაა ხელისშემშლელი. ნაირნაირი ფიქრით ივსება ხოლმე მანქანის სალონი. ამას წინათ გზაზე მოულოდნელად ძლიერი ნისლი შემომეყარა. შევცურე ნისლში და კარგა ხანს თეთრ მდუმარებაში მივიკვლევდი გზას. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს სამყაროს მოვწყდი. გარემომ, ეტყობა, ფილოსოფოსობისკენ მიბიძგა და ცოტა ხნის მერე ნისლში ასეთი სიტყვები ავკინძე:

> **ნისლი შემომხვდა იაბო,**
> **იმან ამბები მიამბო...**
> **მწვერვალზე ასვლა თუ გინდა,**
> **ან გასვლა ზღვათა წიაღო,**
> **გზადაგზა ჩაგისაფრდება,**
> **ხან მურმანი, ხან იაგო,**
> **იცოდე, ნაღდი მაშინ ხარ,**
> **მათაც პატივი მიაგო.**

„მურმანებსა“ და „იაგოებზე“ ვფიქრობდი მერე, სანამ ნისლი აიყრებოდა. დასტა-დასტა მახსენდებოდნენ. თანდათან მიფუჭდებოდა გუნება, მაგრამ ზესტაფონს გავცდი თუ არა, ზუსტად იმ ადგილას, ტრაფარეტი რომ გვაუწყებს, სადღაც, ახლოს, ნავენახევის მღვიმეაო, მოულოდნელად გამოიდარა. უგუნებობისგან გადაღლილმა გონებამაც, ეტყობა თვითმკურნალობა სცადა და სიყმაწვილისდროინდელი ამბები გამახსენა. მათ კი, კარგად მოგეხსენებათ, ღიმილიც მუდმივად თან ახლავს და მეც გავიღიმე. ახლა იმ ამბებს თქვენც მოგიყვებით და თუ თქვენი გაღიმებაც მოვახერხე, განა ცოტაა?!

მოკლედ, შორს რომ არ წავიდეთ, ბაბუაჩემი გიორგი მინდა გავიხსენო. მეტად უცნაური კაცი იყო, სახალისო ამბების მოყოლა უყვარდა. იმ ამბებს თვითონვე იგონებდა და ისე მოგასაღებდა, თითქოს სიცრუეს კი არა, სრულ ჭეშმარიტებას ქადაგებდა. ეს ყველამ იცოდა, ანუ მისი ტყუილების ამბავი, მაგრამ, რადგან ყველაფერს სახალისოდ ყვებოდა, სიამოვნებით უსმენდნენ და უყვარდათ კიდეც. ეს სიყვარული ჩვეული ირონიითაც გამოხატეს და გიორგი მართალი დაარქვეს.

ჯიუტიც იყო ბაბუა. ჩაიფიქრებდა რამეს და კამეჩის სიდინჯითა და სიჯიუტით მიადგებოდა საქმეს. ჩვენი ეზოს ჭიშკართან ორი საურმე გზა იყრიდა თავს. იმ ორიდან ერთი, ასე თუ ისე, ასატანი გახლდათ, მაგრამ მეორე — მტერსა და ავს, დაახლოებით, 30 მეტრამდე ისეთი საფლობი ტალახი იყო, რომ გადაბმული დარების დროსაც კი ჭირდა გავლა და, წარმოიდგინეთ, უამინდობის დროს რა მოხდებოდა. კაცი კი არა, კამეჩები ეფლობოდნენ ურემთან ერთად. უყურა, უტრიალა გიორგიმ ამ საფლობს და აიჩემა ერთ დღეს, სოფლის სირცხვილია ეს და უნდა ამოვავსოო.

ის დღე იყო და ის დღე, მოჰქონდა და მოჰქონდა მდინარის ნაპირიდან ურმით რიყის ქვები. მოჰქონდა დარსა თუ ავდარში. დღეც მოჰქონდა და მთვარიან ღამეშიც. ყრიდა და ყრიდა იმ საფლობში, მაგრამ, როგორც გურიაში იტყვიან, ვერა და ვერ მოპირა მიწა. რიყის ქვები კი არა, უზარმაზარი მონოლითებიც კი ისე უკვალოდ ქრებოდა იმ გაუმაძღარ ტალახში, თითქოს იქ, მიწისქვეშეთში, თვალით უხილავი გველეშაპი იწვა და გიორგის მოზიდული ქვებით იყორავდა სტომაქს. თუმცა არც გიორგი მართალი აპირებდა დანებებას. სოფელი კი ამასობაში ქირქილებდა. ასე ამბობდნენ, ამქვეყნად ვერ აიშენა გიორგიმ სახლი, ღმერთმა დიდხანს ამყოფოს, მაგრამ, როცხა იქნება, ხომ წავა და, ეტყობა, იქით აპირებს სახლის აშენებასო. სრული 17 წელი მოანდომა გიორგიმ ამ საქმეს. მხოლოდ მეჩვიდმეტე წელს მოიგდო მიწამ ქვები ზედაპირზე და იმ ოდესღაც გაუვალ საფლობში, ბავშვიც კი თამამად გადიოდა უკვე. სულ სხვა თაობა დადის დღეს იმ შუკაში, მაგრამ ნებისმიერი გეტყვით, ეს ქვები ვინმე გიორგი მართლის ჩაყრილიაო.

ესეც ასე! ქვების ამბავი ხომ გიამბეთ, ახლა ერთ კიდევ უფრო საინტერესო ამბავსაც მოგიყვებით და თქვენ სოფლის ქირქილი მაშინ ნახეთ. ამ ამბის მთავარი გმირიც ისევ და ისევ ბაბუაჩემი გიორგი მართალია. ჰოდა, მოგიყვებით ამასაც და ბოლოს რაღაც ანალიზისმაგვარიც ეგებ ერთად მოვახლაფორთოთ.

შებინდებისას ჩვენი სოფლის მძივებივით ასხმული ეზოებიდან უცნაური ტკაცუნის ხმები ისმოდა ხოლმე, რომელიც განსაკუთრებით ზაფხულში ხშირდებოდა. არადა, იცით, რა იყო ეს ტკაცა-ტკუცი? — ეზოებში ბორიოს (გრილი ნიავი, — თ.ჭ) მოლოდინში, მჯდარი დასიცხული გურულები სხეულზე შემოსეულ კოღოებს ხოცავდნენ. ძირითადად, შიშველ მკლავებზე მიჰქონდა იერიში კოღოთა ლაშქარს და სწორედ იმ მკლავებზე იხათქუნებდნენ გურულები გაშლილ ხელისგულებს. მოკლედ, შეღამებულზე დიდი ომი იწყებოდა ჩვენ სოფელში, მაგრამ კოღოებს გამოლევდნენ გურულები?!

იფიქრა ამაზეც გიორგიმ, უტრიალა ამ საქმესაც, უკირკიტა და, ერთ მშვენიერ დღეს, ისევ თქვა, სოფლის სირცხვილია ამდენი კოღოო... აიღო ვენახის საწამლი აპარატი, საჭირო ხსნარიც თვითონ მოიძია, ჩაასხა იმ აპარატში და დონ კიხოტივით მიადგა სოფლის გუბეებს. მახსოვს, ტყიდან თუ ყანიდან ამობრუნებული, ჭის წყალს გადაივლებდა ტანზე, მოიგდებდა მერე ზურგზე აპარატს და გუბეებს ასხურებდა ხსნარს.

სოფელი? — სოფელი ამჯერად მხოლოდ ქირქილს აღარ დასჯერდა. ადრე თუ მხოლოდ ტკაცუნის ხმა ისმოდა შებინდებისას, ახლა იმ ტკაცუნის ხმას გინებაც დაემატა. ვისაც კოღო კბენდა, ყველა გიორგის აგინებდა. ტკაც! და იქვე, ოხ, გიორგი, მე შენი დედა ასე და ისეო... ტკაც! და იქვე, ოხ, გიორგი, შენ გაგიხმა ხელები და შენ გამოგწოვოს სისხლი ამ კოღოებმაო... მთელი სოფელი ბაბუაჩემს აგინებდა. მას კი, ვითომ არც ესმოდა ეს ლანძღვა-გინება და ჯიუტად აგრძელებდა თავისას. მერე და მერე, ტკაცუნის ხმა თანდათან გაიშვიათდა, მაგრამ გიორგის ხსენება მაინც ყველა ტკაცუნს თან ახლდა.

მოკლედ, ასე უცნაურად და ასე მოულოდნელად, მანამდე მთელი სოფლისთვის საყვარელი კაცი გიორგი მართალი, ყველას საგინებელი გახდა.

ვიკითხოთ ახლა, რატომ?! დააშავა რამე?!

რა თქმა უნდა, არაფერი დაუშავებია გიორგი მართალს სოფლისთვის. უფრო პირიქითო, იტყვით თქვენ და მართალიც იქნებით, მაგრამ ეს ერთი შეხედვით, ზედაპირული შეფასებით გვეჩვენება ასე. სინამდვილეში კი საქმე გაცილებით რთულადაა. ცხოვრება ანუ სინამდვილე ხომ სულ სხვა შედეგს გვთავაზობს, ჩვენდა სამწუხაროდ. გამოდის, როცა სოფლისთვის დიდი საქმეების გაკეთებას გადაწყვეტ, ლანძღვა-გინებისთვისაც მზად უნდა იყო. თანაც სულერთია, გინდა მართლა სოფლისთვის გააკეთე სიკეთე და გინდაც ამა სოფლისთვის, შედეგი მუდამ ერთი და იგივე დგება, მხოლოდ მასშტაბებია სხვადასხვა.

აბა, გაიხსენეთ, ეპიგრაფი, დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს, რატომ კარგი აგიგიაო...

მაინც ვიკითხოთ, რა ხდება და რატომ ხდება?! რატომ ვეტრფვით ასე ძალიან უმადურობის გვირგვინების თავზე დადგმას?!

გემახსოვრებათ, ამ ჩემი გზააბნეული ამბების დასაწყისში საკუთარი გონების გამჭრიახობის შეფასებისგან თავი რომ შევიკავე, მაგრამ ახლა გამოგიტყდებით, ეტყობა, ცოტ-ცოტას, მართლაც, ფორხილობს ჩემი გამჭრიახობა, თორემ ხომ შევძლებდი ამ ჩვენთვის მარადიულ კითხვაზე პასუხის პოვნას. არადა, მართლაც, ვერაფრით ვგებულობ, სოფლისთვის საყვარელი და პატივსაცემი, გამორჩეული ადამიანი, თავისივე სურვილით, სოფლის წლობით გადაუჭრელი პრობლემის მოსაგვარებლად თავს რომ გადადებს, ყველაფერს პირადულს ივიწყებს და, პრაქტიკულად, მარტოდმარტო ბოროტებას შეერკინება, მერე მის ლანძღვასა და გინებას რატომ ვიწყებთ?!

კაცმა, საღამოს, როგორც სოფლის იმედმა დაიძინა და დილით ნაძირალამ გაიღვიძა?! განა ასეთი რამ მართლა ხდება?

არა, ჩემო საყვარელო ხალხო, არ შეიძლება, დიდებული ადამიანების ამგვარი კონტრასტული შეფასებები, მაგრამ რადგან ხდება და რადგან ფაქტი გიორგი მართალივით ჯიუტია, დაფიქრებით ხომ მაინც უნდა დავფიქრდეთ, ოდესღაც მაინც, ეგებ ჩვენშია პრობლემა და არა გიორგი მართლის მსგავს კანტი-კუნტ კაცებში?

ზემოთ, ქუთაისისკენ მიმავალ გზაზე ნისლზე რომ გესაუბრეთ, გემახსოვრებათ, ის ნისლი სად აიყარა, ნავენახევის მღვიმესთან. მე იმ მღვიმეში ფეხი არასოდეს შემიდგამს, მაგრამ ტრაფარეტს, მინიმუმ, ორჯერ მაინც ვკითხულობ ხოლმე, ხან იქითობას, ხან აქეთობას. ჰოდა, როგორც ჩანს, იმდენად ღრმად ჩამებეჭდა ეს წარწერა გონებაში, რომ ბოლოს ასეთი რამ მათქმევინა:

> **ნავენახევის მღვიმეო,**
> **გონება გამიღვიველო,**
> **ეგ შენი ღამის სიზმრები,**
> **ჩემთვისაც არის მძიმეო.**

ჩვენ ფიზიკურად დიდი ხნის გამოსულები ვართ მღვიმეებიდან, მაგრამ, ეტყობა, მღვიმისეულ სიზმრებს თავი ბოლომდე ვერ დავაღწიეთ, თანაც მხოლოდ ძილის დროს კი არა, ხშირად ცხადშიაც გვესიზმრება.

ჰოდა, მოდით, ჯერ ეს მღვიმისეული სიზმრები, ერთხელ და სამუდამოდ, წყალს გავატანოთ, მე კი, ამასობაში, ახალ გზააბნეულ ამბებსაც შემოგთავაზებთ.

*2014 წლის 16 თებერვალი*

## ვერსიანიუსი

# სოფო ნიჟარაძე: „ვაი, თქვენს პატრონს“...



მომღერალი სოფო ნიჟარაძე გაზეთ „ვერსიაში“ გამოქვეყნებულ სტატიას ეხმაურება. მომღერალი სტატიის ავტორსა და რესპონდენტს მიმართავს და მათ სიცრუის ტირაჟირებაში ადანაშაულებს. ნიჟარაძე Facebook-ის გვერდზე წერს, რომ ყველას ვისაც ეჭვი ეპარება და ჰონია, რომ „ამდენი თანხა სახლში მიჰქონდა, შეუძლია, შინ ესტუმროს“.

**„დამთავრდა ის პერიოდი, როდესაც იგნორირება ყველაზე კარგი საშუალება მეგონა იმისა, რომ ხალხს ეს მარაზმი არ დაეჯერებინა, ამ სტატიის ავტორს, რესპონდენტს ვეუბნები პირდაპირ: ვაი, თქვენს პატრონს!**

**რა მარაზმია? ეს რა ხდება? ვისაც რა უნდა, იმას ლაპარაკობს? რა გონიათ, რომ ამდენი თანხები თუ იხარჯებოდა, მე სახლში მიმქონდა? ყველას გიწვევთ ჩემს სახლში, ვისაც არ გჯერათ და ნახავთ, რა მაქვს წაღებული! მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, არასდროს ჩემი ქვეყნის ჰიმნის შესრულებაში და ბევრ სხვა სადღესასწაულო კონცერტში ჰონორარი არ ამიღია, „ვერის უბნის მელოდიების“ და „ქეთო და კოტეს“ ჰონორარი იყო 500 ლარი, ხოლო რაც შეეხება ამ ბოლო საახალწლო კონცერტს, მისი ანაზღაურება იყო 1500 ლარი!**

**კლიპები და საახალწლო კონცერტები ჩემთვის კი არა, ქვეყნის წინსვლისთვის, ჩვენი საერთო საქმისთვის, კულტურული ცხოვრების წინსვლისთვის კეთდებოდა და იქ მარტო მე არ ვყოფილვარ ჩართული, როგორც მონაწილე!**

**თუ ასეთი ზღაპრების გვჯერა, მაშინ მართლა რთულია პროგრესულობაზე ვილაპარაკოთ და ვიყოთ ასე, როგორც ვართ, ეს ყოფილა ჩვენი „სამართლიანობის აღდგენა“, მთავარია, რომ „თავისუფლად ვსუნთქავთ“ და ვინ რა სიცრუეში გვაცხოვრებს, რა მნიშვნელობა აქვს!“,** — წერს მომღერალი.

სტატია, რომელსაც სოფო ნიჟარაძის გამოხმაურება მოჰყვა, გაზეთმა „ვერსიამ“ გამოაქვეყნა, რომელსაც „პირველი რადიო“ უცვლელად ბეჭდავს.

*„პირველი რადიო“*

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

# საყდრისი — კულტურული მემკვიდრეობა თუ საერთაშორისო სამეცნიერო თაღლითობა?



## ორი სკანდალური წერილი და მთავარი კითხვა — ვინ არის თომას შტოლნერი?!

**საყდრისი-ყაჩაღიანის საბადო კვლავ რჩება ქართველი თუ უცხოელი მეცნიერების საჯილდაო ქვად. არც კულტურის სამინისტრო ამბობს ბოლო სიტყვას. შესაბამისად, ოქროს მოპოვებაზე ლიცენზიის მფლობელი კომპანია RMG Gold ოქროს მოპოვების სამუშაოებს დროებით აღარ აწარმოებს, რის გამოც, კომპანიიდან თანამშრომელთა გათავისუფლების პროცესიც დაიწყო. ქართულ-გერმანული არქეოლოგიური პროექტის გერმანელი ხელმძღვანელი თომას შტოლნერი კომპანია „არ-ემ-ჯის“ „არაპატიოსან ქცევაში“, იმეილის გატეხვასა და პირადი წერილების დამახინჯებით გამოქვეყნებაში ადანაშაულებს, რითაც ერთის მხრივ აღიარებს, რომ წერილი მართლაც მისია. კომპანიაში აცხადებენ, რომ ბატონი შტოლნერის ბრალდება უსაფუძვლოა, საყდრისთან დაკავშირებით კი, „ბრძოლა წესების გარეშე“ წლების წინ, ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა ობიექტს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი უსაფუძვლოდ, უკანონოდ მიენიჭა.**

არის თუ არა საყდრისი ყაჩაღიანი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი და რა არგუმენტები აქვთ ერთ ან მეორე მხარეს, საუბრის სხვა თემაა და ამ კითხვებზე პასუხის მისაღებად, სავარაუდოდ, კიდევ არაერთი პუბლიკაციის გამოქვეყნება მოგვიწევს. მანამდე, იმით დავინტერესდით, მართლაც, დამახინჯდა თუ არა გერმანელი მეცნიერის პირადი წერილები და აწყობდა თუ არა მათი გამოქვეყნება RMG Gold-ს.

ამონარიდები თომას შტოლნერის ორი წერილიდან, რომელთა ადრესატები გერმანელი არქეოლოგები და ბოხუმის სამთო მუზეუმის დირექტორი არიან და რომლებიც 2013 წლის აგვისტოს თვით თარიღდება, უკვე გამოქვეყნდა ერთ-ერთ ქართულ გაზეთში. „ვერსიამ“ წერილების სრული ვარიანტი მოიპოვა. წერილები იურისტმა, გერმანისტმა, ადვოკატმა ლევან ცალუღელაშვილმა ქართულ ენაზე თარგმნა და შემდეგ უკვე ნათარგმნ ვარიანტს შეადარა. ლევან ცალუღელაშვილი „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ მანამდე და მის მიერ ნათარგმნ ვარიანტებს შორის შინაარსობრივი სხვაობა არ არის. თომას შტოლნერის წერილებში ვკითხულობთ: **„ძვირფასო კოლეგებო და კავკასიის მკვლევარებო, გვჭირდება თქვენი დახმარება! გიგზავნით პოზიციასა და დოკუმენტებს ოქროს მაღარო საყდრისთან დაკავშირებით. სიტუაციის ესკალაცია შეინიშნება მას შემდეგ, რაც კომისიის მოსაზრების გამო, საბადოს ძეგლის სტატუსი მოეხსნა. კომისიამ მოახდინა ჩვენი პროექტის სამეცნიერო შედეგების იგნორირება და გააქარწყლა დამკვიდრებული, კარგი სამეცნიერო პრაქტიკა. (2013 წლის ივნისი)**

**სხვა დასკვნამდე მისვლა ძნელია: კომისიის გადაწყვეტილებაზე შეინიშნება მასიური ზეგავლენა (კომისიის წევრი ....... რომელიც ამავე დროს არის სამეწარმეო კლუბის TADZARI (ბოლნისში) ნდობით აღჭურვილი პირი, რომელიც თავის მხრივ RMG გოლდისგან ფინანსდება. RMG გოლდი კი ფლობს დემონტაჟის ლიცენზიას. (ამის დამადასტურებელი დოკუმენტებს გიგზავნით დანართის სახით) კომისიის გადაწყვეტილება ასრულებს ლეღვის ფოთლის როლს, ემსახურება რა მიზანს, — მოხდეს საყდრისის პრეისტორიული მნიშვნელობის უგულებელყოფა და მაღაროს მთლიანი განადგურება. არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვა 15.09-მდე გვქონდა. შესაძლოა, ისეც მოხდეს, რომ საყდრისი ოქტომბრიდან გაანადგურონ.**

**ჩვენთვის რა გამოსავალი არსებობს: კომისიის გადაწყვეტილების გაუქმება და საერთაშორისო კომისიის შექმნა, რაც თავის მხრივ მოგვცემს დროს, ან ძეგლი როგორმე გადავარჩინოთ, ან დაწყებული კვლევა როგორმე დავასრულოთ. ჩვენი მიზანი საერთაშორისო ზეწოლის მოხდენა უნდა იყოს, რათა საყდრისს უძრავი ძეგლის სტატუსი აღუდგეს“.**

და მეორე წერილი, სადაც წინა წერილის ტექსტი მეორდება, ფინალში კი წერია: **„ბატონო ბრუგერჰოფ, ძვირფასო ანდრია, ძვირფასო ჯენი. ... ინფორმაცია უნდა მომზადდეს და განთავსდეს DMB-ის ვებგვერდზე და უნდა ჰპოვოს გამოხმაურება ჩვენს სამეცნიერო ოჯახში, უნდა გავრცელდეს და მიაღწიოს ორგანიზაციის ყველა მეგობარ მეცნიერამდე. პირადად მე ვაპირებ, DFG-სთან ერთად ანდრეას მივმართო VW-ში, მაგრამ რა თქმა უნდა, პროტესტმა კიდევ უფრო ფართო წრეები უნდა მოიცვას. მიზანი უნდა იყოს საერთაშორისო ზეგავლენის მოხდენა, რათა კვლავ აღდგეს ძეგლის სტატუსი. ეს ყველაფერი აღწერილია ჩემს წერილში და სხვა დოკუმენტებში, რომლებიც უნდა გადამისამართდეს ჩვენს პარტნიორებთან, კოლეგებთან — კომისიის გადაწყვეტილებასთან ერთად ქართულ, ინგლისურ ენებზე და კვლევის შედეგების შესახებ სამეცნიერო მოხსენებასთან ერთად. ასე რომ, გთხოვთ, ძვირფასო ბატონო ბურგერჰოფ და ანდრეა, გადაამოწმოთ ეს ყოველივე. ორშაბათიდან მინდა გთხოვოთ, ჯენი და შენ, ანდრეას, გაავრცელოთ დოკუმენტები ყველა ჩვენს საკონტაქტო პირთან. დრო არ ითმენს. ქმედებების გეგმაზე დეტალურად ვესაუბრე ირინას და დავით ლორთქიფანიძეს. ჯენი, ასევე გთხოვთ, განიხილოთ და ბატონ ბრუგერჰოფთან, პეტრა აიზენახთან და ინგა შნეფელთან შეათანხმოთ, თუ როგორ წარვადგინოთ თემა ჩვენს ვებგვერდზე: „მსოფლიოში უძველესი ოქროს საბადოს განადგურება“.**

**ტექსტებს Zeta Downloader-ით მოგვიანებით მოგაწვდით.**

**ქართველები და ჩვენი გუნდი საყდრისიდან გთხოვთ, დახმარებას!“**

იმას, რასაც შტოლნერი „დახმარებისკენ მოწოდებას“ უწოდებს, „ინტრიგის ხლართვასა და კომპანიის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობას“ არქმევენ „არ-ემ-ჯი გოლდში“. შტოლნერის საეჭვო აქტიურობის შედეგად კი, არაერთი და არა მხოლოდ ქართველი, არამედ უცხოელი მეცნიერის შეცდომაში შეყვანას ასახელებენ.

„არ-ემ-ჯის“ ერთ-ერთ დირექტორს, სოსო ცაბაძეს, მაგალითად მოჰყავს ბოჰუმის უნივერსიტეტის არქეოლოგიის განყოფილების უფროსის, სვენდ ჰანსენის, საქართველოს კულტურის სამინისტროს მისამართით მოწერილი წერილი, სადაც გერმანელი, ქართველებს, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სახით, ძეგლის შენარჩუნებას სთხოვს. ეს ხდება მაშინ, როდესაც ჯერ არავითარი გადაწყვეტილება არაა მიღებული და ვერც იქნება, რადგან საყდრისის საკითხების განმხილველი კომისია 2013 წლის 28 მაისს შეიქმნა, ხოლო ჰანსენის წერილი 22 მაისითაა დათარიღებული. საიდან შეიძლება სცოდნოდა ბატონ ჰანსენს ჯერ კიდევ არარსებული კომისიის, მითუმეტეს მისი რეკომენდაციისა და ამ რეკომენდაციის საფუძველზე სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ? — სვამს ლოგიკურ კითხვას სოსო ცაბაძე და თავადვე პასუხობს — აშკარაა, რომ მან დეტალები არ იცის და, შესაძლებელია, მხოლოდ შტოლნერის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას ეყრდნობოდა. მეტიც, ცაბაძე გვიმხელს, რომ ჰანსენის წერილი გერმანულ ბლანკზე ქართულადაა დაწერილი, ხელმოწერა კი გერმანულადაა. წერილის გერმანული დედანი არ არსებობს, შესაბამისად, აქაც ჩნდება ეჭვი, რომ ჰანსენმა ხელი საქართველოდან გადაგზავნილ წერილს მოაწერა ისე, რომ მისი შინაარსის დეტალები შეიძლება არც კი იცოდა.

თომას შტოლნერის მოსაზრებას, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის მაღარო, მსოფლიოში უძველესი ოქროს საბადოა, ქართველი მეცნიერების ნაწილი, ქართულ-გერმანული ექსპედიციის წევრები და კულტურის მინისტრის ყოფილი მოადგილე მარინე მიზანდარიც იზიარებენ და, რომ იტყვიან, „კბილებითაც იცავენ“. მეტიც, მიზანდარმა აღიარა, რომ თანამდებობიდან მისი გათავისუფლების ერთ-ერთ და, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვან მიზეზად, სწორედ მასა და ოდიშარიას შორის, საყდრისთან დაკავშირებით, აზრთა სხვადასხვაობაა. შტოლნერი ხსენებული ადამიანებისთვის დიდი ავტორიტეტია და მის მიერ დადებული დასკვნა უტყუარია. იმდენად უტყუარი, რომ კულტურის სამინისტროს შესაბამისი კომისიის დასკვნაც კი გადაწონა. მანამდე კი, სანამ კომისია საბოლოო სიტყვას იტყოდა, მიზანდარს მისი წევრებისთვის სწორედ შტოლნერის დასკვნა აუფრიალებია და უთქვამს, გერმანელი მეცნიერი წერს ამას და გაითვალისწინეთო.

იყო თუ არა ეს კომისიის წევრებზე ზეგავლენის მოხდენის მცდელობა? იმედია, ამ კითხვაზე პასუხს, მიზანდარი, „ვერსიასთან“, უახლოეს მომავალში თავად გასცემს. მანამდე კი, იმას მოგახსენებთ, რომ, როცა კომისიამ შტოლნერის მოსაზრების საპირისპირო დასკვნა დადო, მიზანდარმა მათი ნააზრევი არაფრად ჩააგდო — მისთვის კვლავ გერმანელი მეცნიერის მოსაზრება დარჩა ურყევი. რატომ გადაწონა შტოლნერმა რამდენიმე ქართველი პატივსაცემი მეცნიერის მოსაზრება? აქვს თუ არა გერმანელ მეცნიერს რაიმე ინტერესი საყდრისში? ახდენს თუ არა გავლენას უცხოელ მეცნიერებზე? როგორ და რატომ ჩაერთო ქართულ-გერმანულ პროექტში? რა სახელგანთქმული კვლევებით იცნობს მას საერთაშორისო საზოგადოება და ზოგადად, ვინ არის, ქართული საზოგადოების ერთი ნაწილის მიერ „ქართული ძეგლის დამცველად“, მეორე ნაწილის მიერ კი — „შარლატან მეცნიერად“ მონათლული შტოლნერი?

ბოხუმის უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე ვკითხულობთ, რომ თომას შტოლნერი 1995-2000 ჩართული იყო DFG-პროექტში, Marburg უნივერსიტეტში. 2000 წელს მიწვეული მკვლევარი გახლდათ Flinders-ის უნივერსიტეტში, სამხრეთ ავსტრალიაში; 2000 წლიდან ბოხუმში (გერმანია), სამთო მუზეუმში, ნახშირისა და მასალების კვლევის ხელმძღვანელია; 2006 წლიდან არის პროფესორი Ruhr-Universität-ში, ადრეული და უძველესი ისტორიის ფაკულტეტზე; 2011 წელს, მიწვეული იყო, ვენის უნივერსიტეტში, ადამიანის უძველესი ისტორიის ფაკულტეტზე. მის მიმართულებად მითითებულია: სპილენძისა და ბრინჯაოს ხანა ცენტრალურ ევროპაში; ნახშირის კვლევა (ევროპა, აზია); საბუნებისმეტყველო მეცნიერება არქეოლოგიაში; სარიტუალო და წმინდა ადგილები არქეოლოგიაში. თომას შტოლნერი გახლავთ DAI, გერმანიის არქეოლოგიური ინსტიტუტის, ევროპის გარეთა კულტურის არქეოლოგიური კომიტეტის და ავსტრიის, ბალტიისა და სკანდინავიის არქეოლოგიური ცენტრის წევრი. მისი კვლევითი პროექტებია: პრეისტორიული მარილის მოპოვება, ავსტრიაში; ZANJAN-ში პროექტი სახელწოდებით „მარილის კაცები“; დასავლეთ სლოვაკური მადნის მთების პროექტი, ბრინჯაოს ხანის კვლევა; MITTERBERG-ის რეგიონი, სპილენძის მასიური წარმოება, აღმოსავლეთ ალპები, ბრინჯაოს ხანა; მარილი, სპილენძი ოქრო, ადრეული სამთო სამრეწველო სამუშაოები კავკასიაში, (ოქრო საქართველოში); სპილენძი და კალა (თუთია) ცენტრალურ აზიის სტეპებში; ადრეული რკინა, შიეგერლანდის რეგიონში, მდინარე რაინის მარჯვენა მხარეს. ყველა მათგანს გერმანული მხარე საკმაოდ სოლიდური თანხებით აფინანსებდა.

**განსაკუთრებული რეზონანსი ჰქონდა მის კვლევებს ყაზახეთში — ხელმძღვანელობდა საერთაშორისო ყაზახურ-გერმანულ მრავალწლიან პროექტს, სახელწოდებით „ევრაზიის გულიდან — ძველი ყაზახეთის განძი“. პროექტის ფარგლებში, ბოხუმის უნივერსიტეტში გამოფენაც მოაწყო სახელწოდებით „უცნობი ყაზახეთი — არქეოლოგია ევრაზიის ცენტრში“. ამტკიცებდა, რომ ყაზახეთში აღმოჩენილი საბრძოლო ეტლი, დაახლოებით 4 ათასი წლის წინანდელია. „ყაზახეთი ევრაზიის გულია, რომელიც ფეთქავს და მთელ რეგიონს აცოცხლებს“, — ეს ფრაზა, ყაზახეთში ნაპოვნი არტეფაქტების დამცველ შტოლნერს ეკუთვნის. მის სახელსვე უკავშირდება საბადოს აღმოჩენა ჩრდილოეთ ირანში (Chah Mesi), სადაც გვიანი ბრინჯაოს და უფრო კი, სასანური ხანის ზუსტად იგივე სახის სამუშაო იარაღია აღმოჩენილი, როგორიც საყდრისშია და სპილენძის მოპოვებასთან არის დაკავშირებული. ირანშიც, გათხრები შტოლნერმა აწარმოა. ამიტომაა, რომ მის მოწინააღმდეგეებს ეჭვი უჩნდებათ — ეს კაცი სადაც ჩავიდა, უძველესი საბადო, ან იარაღები მაინცდამაინც იქ როგორ აღმოაჩინაო.**

**რა მიზანი შეიძლება ამოძრავებდეს გერმანელ მეცნიერს სხვადასხვა ქვეყანაში მსგავსი აღმოჩენების გაკეთებისას?**

ცხადია, წმინდა პროფესიულ ინტერესს არავინ გამორიცხავს, მაგრამ ოპონენტები ფინანსურ დაინტერესებაზეც საუბრობენ. ამბობენ, მეცნიერს, ამა თუ იმ პროექტის განსახორციელებლად გამოყოფილი გრანტები იზიდავს და ეს იყო საქართველოში მისი ჩამოსვლის რეალური მიზეზიცო — „ფოლკსვაგენის ფონდმა“ ქართულ-გერმანული პროექტი 800 ათასი დოლარით დააფინანსა. არქეოლოგი გიორგი გოგოჭური, გერმანელი მეცნიერის საქმისადმი ამგვარ დამოკიდებულებას კატეგორიულად გამორიცხავს: **„ეს წარმოუდგენელია. მსგავსი მიდგომა საბჭოური მენტალობის მქონე ადამიანებს ახასიათებთ. გრანტების „ჭამა“ საბჭოთა საზოგადოებისთვის იყო დამახასიათებელი. დარწმუნებული ვარ, არცერთი ახალგაზრდა, ვისაც ერთხელ მაინც ჰქონია შეხება უცხოელებთან, არც კი იფიქრებს, რომ გერმანელ მეცნიერს, შეიძლება გრანტის და ფინანსების ინტერესი ამოძრავებდეს“.** „ვერსიასთან“ საუბრისას გიორგი გოგოჭური იმასაც იხსენებს, წლების წინ, როგორ ჩაერთო ქართულ-გერმანულ პროექტში თომას შტოლნერი: **„2001 წელს, ბოხუმის სამთო მუზეუმში დიდი გამოფენა მოეწყო, სადაც ქართული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული არტეფაქტები გამოფინეს.**

*დასასრული მე-7 გვერდზე*

# „საქართველოს ბანკის მომავლის ფონდმა“ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მხარდასაჭერად, პირველი საგრანტო კონკურსი გამოაცხადა

„ვისაც სურს სიკეთის კეთება, „საქართველოს ბანკი“ ამის საშუალებას მისცემს“, — შეიძლება ითქვას, „საქართველოს ბანკის“ სათავო ოფისში გამართული საგანგებო პრესკონფერენციის სლოგანი ეს ფრაზა იყო. საქმე ისაა, რომ ბანკმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მხარდასაჭერად, პირველი საგრანტო კონკურსი გამოაცხადა, რომელსაც „საქართველოს ბანკის მომავლის ფონდი“ განახორციელებს. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს, საინიციატივო ჯგუფებსა და დაწესებულებებს, რომლებიც შშმ ბავშვთა საკითხებზე მუშაობენ ან ამ მიმართულებით, საინტერესო იდეები აქვთ.

„საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის, ირაკლი გილაურის თქმით, ბანკის „მომავლის ფონდი“, საგრანტო კონკურსის ფარგლებში 250 ათასი ლარის მოცულობის დაფინანსებას გამოყოფს.

**ირაკლი გილაური: „საქართველოს ბანკმა“ მიზნად დაისახა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების დახმარება, რისთვისაც 1 მილიონლარიანი დაფინანსება უკვე გამოვყავით. ჯამში, 2 მილიონ ლარზე მეტი გვაქვს გამოყოფილი სოციალური პროექტებისთვის, მათ შორის, განათლებისა და გარემოს დაცვის კუთხით. ახლახან გავხსენით „საქართველოს ბანკის უნივერსიტეტი“, ახლა კი, ამ საგრანტო კონკურსს ვაცხადებთ. მოწვეული გვყავს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. მათ მიერ შემოტანილ პროექტებს განიხილავს კომისია, რომელიც დაკომპლექტებული იქნება სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებისგან ანუ ბანკი ერთპიროვნულად არ მიიღებს გადაწყვეტილებას, რომელი პროექტი დააფინანსოს და რომელი არა“.**

კონკურსში მონაწილეობის სურვილი უკვე გამოთქვა 80-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ, მათთვის, „საქართველოს ბანკში“, სპეციალური შეხვედრაც მოეწყო, სადაც დეტალურად მიიღეს ინფორმაცია, რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს კონკურსში წარმოდგენილი პროექტი.

ჟურნალისტებს კი, კონკურსის დეტალების შესახებ, „საქართველოს ბანკის მომავლის ფონდის“ ხელმძღვანელმა **თორნიკე გურულმა** უამბო: **„საქართველოს ბანკი“ პირველი კომერციული ორგანიზაციაა საქართველოში, რომელიც მსგავსი ტიპის — საგრანტო კონკურსს აცხადებს**



კონკურსში გამარჯვებული პროექტების განხორციელებისთვის ბანკი 250 ათას ლარს გამოყოფს

**და ამ კუთხით, მხარს უჭერს შშმ ბავშვებს. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ არასამთავრობო ორგანიზაციებს. თუ კონკრეტულ ჯგუფს აქვს იდეა, მაგრამ არ აქვს არასამთავრობო ორგანიზაცია, შეუძლია, საინიციატივო ჯგუფად ჩამოყალიბდეს. შესაძლებელია გრანტი მიიღოს შესაბამისმა დაწესებულებამაც, მაგალითად, თუ რომელიმე სკოლა ინკლუზიური განათლების მიმართულებით მუშაობს, მასაც შეუძლია განავითაროს იდეა და მიიღოს დაფინანსება „საქართველოს ბანკის მომავლის ფონდისგან“. ჩვენ დავაფინანსებთ რამდენიმე მიმართულებას, ეს იქნება შშმ ბავშვების ინტეგრაცია საზოგადოებაში, ინფრასტრუქტურული პროექტები თუ სხვადასხვა სახის აქტივობები. ვერ დავაფინანსებთ სამეცნიერო კვლევებსა და კონფერენციებს, საზღვარგარეთ მოგზაურობას, სამედიცინო ტიპის პროექტებს, კონკრეტული პროექტის განხორციელებისთვის შენობების შეძენასა და იჯარის ხარჯებს... უმნიშვნელოვანესია, რომ „საქართველოს ბანკის მომავლის ფონდის“ საშუალებით, არასამთავრობო ორგანიზაციებს, საინიციატივო ჯგუფებსა და შესაბამის დაწესებულებებს ექნებათ საშუალება, დაამტკიცონ, რომ შეზღუდული შესაძლებლობა არ არსებობს! კონკურსში გამარჯვებული პროექტები მიიღებს ბანკის „მომავლის ფონდის“ სიმბოლოს — სიცოცხლის ხეს, რომელიც ზრუნვისა და კეთილი საქმის კეთების სიმბოლოცაა. ასე რომ, ყველას, ვისაც სურს, კეთილი საქმე აკეთოს, მოვუწოდებთ, გააქტიურდნენ და კონკურსში მიიღონ მონაწილეობა“.**

კონკურსი უკვე დაიწყო — საკონკურსო განცხადებების მიღების ვადა 18-დან 28 თებერვლის ჩათვლით, 17 საათამდეა. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საჭირო დოკუმენტაცია უნდა გადაგზავნონ ელექტრონულ ფოსტაზე: grants@bog.ge. წარდგენილი პროექტები, მაქსიმუმ 6 თვეზე უნდა იყოს გათვლილი და მიმართული უნდა იყოს შშმ ბავშვებისთვის ადაპტირებული გარემოს შექმნაზე, საგანმანათლებლო აქტივობაზე ან საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის ხელშეწყობაზე და კონკრეტული შედეგის მომტანი უნდა იყოს. კონკურსი ონლაინრეჟიმში წარიმართება. გამარჯვებულ პროექტებს, შესაბამისი მიმართულების ექსპერტებით დაკომპლექტებული დამოუკიდებელი ჟიური 2014 წლის 10 მარტს გამოავლენს. მათ განხორციელებას კი მონიტორინგს, „საქართველოს ბანკის მომავლის ფონდი“ გაუწევს. თითოეული გრანტის მოცულობა განისაზღვრება 25 ათას ლარამდე. ეს ნიშნავს, რომ საგრანტო კონკურსი მხოლოდ ერთ პროექტზე არაა გათვლილი და მასში რამდენიმე იდეა გაიმარჯვებს. ერთ ორგანიზაციას მაქსიმუმ 3 პროექტის წარდგენა შეუძლია. მათთვის კი, ვისაც „საქართველოს ბანკის მომავლის ფონდის“ საგრანტო კონკურსთან დაკავშირებით, დამატებითი კითხვები გაუჩნდება, შექმნილია სპეციალური ვებგვერდი www.foundation.ge, სადაც კონკურსის შესახებ, ყველა ინფორმაცია დეტალურადაა ატვირთული.

*ნინო ლურსმანაშვილი*

სკანდალის დეტალები

# საყდრისი — კულტურული მემკვიდრეობა თუ საერთაშორისო სამეცნიერო თაღლითობა?

*მე-6 გვერდიდან*

**ამ ღონისძიებას დიდი გამოხმაურება მოყვა და ბევრი უცხოელი დაინტერესდა. გამოფენას ხელმძღვანელობდა ირინა ღამბაშიძე. მან გაიცნო გერმანელები, მათ შორის თომას შტოლნერიც. მალე, გერმანელ სპეციალისტებთან ერთად დაამუშავა აღნიშნული პროექტი, წარუდგინა „ფორკსვაგენის“ ფონდს და დაფინანსებაც მიიღო. პროექტში გერმანული მხარე თუ არ არის წამყვანი — ფონდი არ აფინანსებს. ანუ, მხოლოდ ქართველებს რომ გამოგვეთქვა დაფინანსების მიღების სურვილი, ამას ვერ მივაღწევდით. პროექტის ხელმძღვანელი ქართული მხრიდან ირინა ღამბაშიძეა, გერმანული მხრიდან კი, თომას შტოლნერი. თავდაპირველად აქ სპილენძის საბადო ეგონათ, მაგრამ მაღაროების მადნის სინჯები რომ წაიღეს, მათში ოქროს შემცველობა დადასტურდა“.**

**მიუხედავად იმისა, რომ შტოლნერი ცნობილი მეცნიერია, არის თუ არა მისი დასკვნა „უმაღლესი ინსტანცია“, სადაც ეჭვი არ შეიძლება შეიტანოთ?**

გიორგი გოგოჭური აცხადებს, რომ ქართველი არქეოლოგები ერთი, კონკრეტული მეცნიერის მოსაზრებას ბრმად კი არ ენდობიან, ხელმძღვანელობენ ყველა იმ ცნობილი უნივერსიტეტების ლაბორატორიული კვლევებით, რომელსაც თავის დროზე, დასკვნის წერისას თავად შტოლნერიც დაეყრდნო: **„ანალიზები რაც გამონამუშევრებიდან წავიდა გერმანიის სხვადასხვა ლაბორატორიაში, დამუშავდა და მივიღეთ გარკვეული შედეგები. შტოლნერი სამთო არქეოლოგი, პროფესორი, ექსპედიციის და ერთ-ერთი სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელია. ის თვითონ კი არ ამტკიცებს რაღაცას, ამ ლაბორატორიული კვლევების შედეგად მიდის დასკვნამდე, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტი არის უძველესი ოქროს საბადო. ის ავტორიტეტული მეცნიერია, სამთო არქეოლოგიურ კვლევებს ხელმძღვანელობს სხვადასხვა ქვეყანაში — ავსტრიაში, ყაზახეთში, ირანში, ლათინური ამერიკის ქვეყნებში...“**

ზემოხსენებულ არგუმენტებზე RMG-ის გეოლოგებს მხოლოდ ეღიმებოდათ. თუ მადნის სინჯები აიღეს და თანამედროვე მეთოდით ანალიზი გააკეთეს, ოქროს აღმოაჩენდნენ, აბა რა იქნებოდა, ერჩივნათ მადნის ანალიზი კი არა, ათასობით სამუშაო იარაღებიდან ერთზე მაინც გაეკეთებინათ ოქროს შემცველობის ანალიზი, რომ მათ მაგივრად ქართველი არქეოლოგები არ ჩავარდნილიყვნენ უხერხულ მდგომარეობაში და სახალხოდ არ ჰქონოდათ ვაგლახად საძახებელი – „ვიცოდით, რომ ოქროს ამუშავებდნენ და იარაღებზე ანალიზის ჩატარება საჭიროდ არ ჩავთვალეთო“, ანდა „იმ დროს ხალხს გონების მიკროსკოპი ჰქონდათო“.

შტოლნერის საპირისპირო დასკვნამდე მიდის, მაგალითად, **ვინჩესტერის უნივერსიტეტის გამოყენებითი არქეოლოგიის მეთოდიკის ლექტორი, ლონდონის ანტიკვარიატის საზოგადოების, ასევე არქეოლოგიის ინსტიტუტის წევრი პოლ ევერილი.** იგი, 2013 წლის აპრილში წერს, რომ მოწვევის შემდეგ არქეოლოგიური ძეგლი დაათვალიერა და მივიდა მოსაზრებამდე: **„ქანებში არსებული ვიწრო ვერტიკალური ბზარები სავარაუდოდ უნდა იყოს სოლიფლუქციის შედეგი — ქანებში ეროზიის ბუნებრივი პროცესი, რომელიც გამოწვეულია ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში წყლის მოძრაობით. თუმცა, ექსპერიმენტული არქეოლოგიის შედეგად წარმოდგენილ იქნა, თუ როგორ ხდებოდა მეშახტეების მიერ ცეცხლისა და რიყის ქვების გამოყენება ადრე ისტორიულ პერიოდში, რაც გამოწვეული უნდა ყოფილიყო ქანების სირბილით და ასევე უნდა ყოფილიყო, მუშაობისთვის საკმარისი სივრცე — მიუხედავად ამისა, არცერთი აღნიშნული შემთხვევა არ გამოდგება საყდრისთან მიმართებაში.**

**საყდრისში აღმოჩენილი მატერიალური კულტურის ნიმუშების მიუხედავად, ჩემი მოსაზრებით, ისინი ადასტურებენ, უფრო რიტუალურ დანიშნულებას და არა სამთო საქმიანობას. აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს, აღმოჩენილ ნივთებს შორის ორი განგმირული ადამიანის თავის ქალის არსებობა, რომლებიც შეესაბამება, არქეოლოგიური ძეგლის ადგილას გამართულ რიტუალურ ჩვენებას ან მსხვერპლშეწირვას.**

**ვემხრობი პრაგმატულ მიდგომას. გაერთიანებულ სამეფოში ამჟამად არსებული სისტემის საფუძველზე, იმ ძეგლებზე მუშაობა, რომლებსაც არ გააჩნიათ ეროვნული მნიშვნელობა, ნებადართულია იმ შემთხვევაში, თუ კვალიფიციური არქეოლოგები უზრუნველყოფენ სათანადო ძალისხმევას, რათა აღრიცხონ სამუშაოების შედეგად აღმოჩენილი არქეოლოგიური ფაქტები და აწარმოონ შესაბამის მუზეუმში მათი შენახვა. აღნიშნული პირობების საფუძველზე, არქეოლოგიური ძეგლები დაცულია „ჩანაწერებით“, რაც იმას ნიშნავს, რომ ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება მომავალი არქეოლოგებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ძეგლზე საწარმოს განვითარება შესაძლოა გაგრძელდეს“.**

**თუკი ჩვენთვის ავტორიტეტი მაინცდამაინც უცხოელის დასკვნაა, რატომ ვანიჭებთ უპირატესობას გერმანელ და არა ინგლისელ მეცნიერს?**

არქეოლოგი გიორგი გოგოჭური ამბობს, რომ პოლ ევერილს საბადო ადგილზე არ შეუსწავლია და იგი „არ-ემ-ჯის“ მიერ დაქირავებული მეცნიერია. თუ ცნებები — „მოქრთამული“ ან „გრანტიჭამია“ უცხოელი მეცნიერი, მხოლოდ საბჭოთა მენტალიტეტის მქონე ადამიანის ფანტაზიის ნაყოფია, ეს ლოგიკა ინგლისელების შემთხვევაში რატომ არ ვრცელდება? ანუ, RMG gold-ის ფული თუ „ჯოჯოხეთს“ — დიდ ბრიტანეთს „ანათებს“, „ფოლკსვაგენის“ ფულს რატომ არ შეიძლებოდა გერმანელი მეცნიერის ჯიბის „განათება“? როგორც ჩანს, ამ თემას, რაც უფრო ჩაეძიები, მით მეტი უპასუხო კითხვა ჩნდება და სიმართლის დადგენა კიდევ უფრო რთულდება, რადგან ორივე მხარეს დოკუმენტების (ნამდვილი თუ გაყალბებული), არგუმენტების („რკინის“ თუ გულუბრყვილო), ტყუილ-მართლის ცვენაა. უახლოეს მომავალში, „ვერსია“ შეეცდება, „აქილევსის ქუსლად“ ქცეული საყდრისის ისტორიას ფეხდაფეხ მიყვეს და ყველა კითხვაზე პასუხი მოიპოვოს. კითხვებზე პასუხი და გამოსავლის ძებნა — მიზანი ესაა და არა რომელიმე ქართველი თუ უცხოელი პროფესორ-მეცნიერის პროფესიონალიზმში ეჭვის შეტანა, ტყუილში გამოჭერა ან რეპუტაციის შელახვა.

საყდრისის „კულტურულ-სამთამადნო ჩიხიდან“ გამოყვანის ერთ-ერთ ვარიანტად ბოლო დროს საერთაშორისო კომისიის შექმნას ვარაუდობენ. ამბობენ, მოვიწვიოთ უცხოელი (გერმანელები გამოკლებით) სპეციალისტები, გადაამოწმონ შტოლნერი ცდება თუ არაო. არქეოლოგი გიორგი გოგოჭური ამბობს, რომ საერთაშორისო კომისიის შექმნას კომპანია RMG არ ეთანხმება, რადგან „შიში აქვთ, რომ ისინიც შტოლნერისნაირ დასკვნას დადებენ“. თავად კომპანიაში კი აცხადებენ, რომ ჯერ ერთი კომისიის იდეის მომხრეთა მოთხოვნა „კომპეტენტური“ და „მიუკერძოებელი“ საერთაშორისო კომისიის შექმნის თაობაზე იმის ირიბად აღიარებაა, რომ ქართველი მეცნიერები „მიკერძოებულნი“ და „არაკომპეტენტურნი“ არიან და მეორეც — ეს მოთხოვნა, მხოლოდ დროის გაყვანის მცდელობაა — კომისიის დაკომპლექტებას მინიმუმ 2-3 თვე უნდა, მათ მუშაობას 2 თვე, დასკვნის მომზადებას კიდევ 2 თვე... ეს ოპტიმალურ შემთხვევაში. თანაც, თუ კომისიური შესწავლა აქამდე არსებული კვლევის მეთოდური ხარვეზების გადამოწმებასაც შეეცდება შეიძლება პროცესი, წლების განმავლობაშიც გაიწელოს.

**როგორ განვითარდება მოვლენები საყდრისში, დრო გვიჩვენებს. „ვერსია“ კი, იწყებს საყდრისის საკითხზე ჟურნალისტურ გამოძიებას და უახლოეს ნომრებში ორივე მხარის არგუმენტებს, დოკუმენტურ მასალებსა და იმ მტკიცებულებებს წარმოგიდგენთ, რომელიც ნათელ სურათს შექმნის. ასევე შევეცდებით ვუპასუხოთ კითხვას რა არის საყდრისის საბადო — მეცნიერების „გრანტებისა“ და ფინანსების საბადო თუ ბიზნესი, რომელმაც საქართველოს ეკონომიკა უნდა განავითაროს. იმედია, მიუხედავად დაპირისპირებისა, კონფლიქტის ყველა მხარე დაგვეხმარება, გავარკვიოთ სიმართლე და ამით წერტილი დავუსვათ ქართული კულტურითა და კულტურის ძეგლებით სპეკულაციასა და მანიპულირებას.**




## თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრი და საბალეტო დასი ალ ბუსტანის ფესტივალში მიიღებს მონაწილეობას

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის ორკესტრი და საბალეტო დასი ბეირუთში (ლიბანი) ალ ბუსტანის 21-ე საერთაშორისო ფესტივალში მიიღებს მონაწილეობას. ალ ბუსტანის საერთაშორისო ფესტივალის მუსიკალური ხელმძღვანელია თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთავარი დირიჟორი ჯანლუკა მარჩანო.

წელს ფესტივალი 18 თებერვალს დაიწყება და 23 მარტამდე გასტანს. ამჯერად, ფესტივალი თბილისის ოპერის თეატრის ორკესტრის კონცერტით გაიხსნება. შესრულდება ანტონინ დვორჟაკის უვერტიურა „ბუნების წიაღში“ და მე-9 სიმფონია „ახალი სამყაროდან“, ნინო როტას სიუიტა, რობერტო მოლინელის „გაზაფხულის გული“ და „ქარბუქიანი ზამთარი“. სოლისტის ამპლუაში წარსდგება მსოფლიო აღიარების მქონე ბანდონეონისტი მარიო სტეფანო პიეტროდარკი. იგივე პროგრამა შესრულდება 20 თებერვალსაც.

22 თებერვალს თბილისის ოპერის თეატრის ორკესტრი სცენაზე ფრანგ მევიოლინესთან, ალექსანდრა სუმთან ერთად გამოვა. პროგრამაშია ფელიქს მენდელსონის უვერტიურა „ჰიბრიდები“, ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის სავიოლინო კონცერტი და პეტრე ჩაიკოვსკის პირველი სიმფონია.

ქართულ ორკესტრს ფესტივალის აუდიტორია 26 თებერვალსაც მოუსმენს. ამჯერად, შესრულდება უვერტიურა კარლ მარია ვებერის ოპერიდან „ჯადოსნური მსროლელი“, პეტრე ჩაიკოვსკის მეოთხე სიმფონია, სოპრანო ჯოჰანი ფონ ოოსტრუმი იმღერებს რიხარდ შტრაუსის „ოთხ უკანასკნელ სიმღერას“. ალ ბუსტანის ფესტივალის მსმენელთა წინაშე ჩვენი ორკესტრი ბოლოს 28 თებერვალს წარსდგება — მევიოლინე სერგეი კრილოვთან ერთად დაუკრავს პეტრე ჩაიკოვსკის სავიოლინო კონცერტს, პროგრამაშია ასევე უვერტიურები ჯოაკინო როსინის ოპერებიდან „ვილჰელმ ტელი“, „სევილიელი დალაქი“, „კონკია“ და ჩაიკოვსკის უვერტიურა „ჭექა-ქუხილი“.

ხუთივე კონცერტს ჯანლუკა მარჩანო უდირიჟორებს.

ევროპის საფესტივალო ასოციაციის წევრის, ალ ბუსტანის მუსიკისა და ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის აუდიტორიის წინაშე თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ორკესტრი ამჯერად უკვე მეოთხედ წარსდგება (2011 წლიდან ყოველწლიურად მონაწილეობს ფესტივალში), რაც, ცხადია, გასულ წლებში მიღწეული დიდი წარმატების დასტურია. წლეულს ფესტივალში პირველად მიიღებს მონაწილეობას თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასი. 15 და 16 მარტს მაყურებელი იხილავს სპექტაკლებს „შოპენიანა“ და „მარგარიტა და არმანი“, სადაც მარგარიტას როლს პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილი შეასრულებს, იგი ასევე იცეკვებს კამილ სენ-სანსის მომაკვდავ გედს.

ალ ბუსტანის ფესტივალზე წლეულს იმღერებს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი ირაკლი მურჯიკნელი — ის 19 მარტს იასკო ფუჯიისთან, კლეარ პრისლენდთან, საშა ჩანოსთან, ლიბანის კონსერვატორიისა და ანტონინის უნივერსიტეტის გუნდებთან, სომხეთის სახელმწიფო ახალგაზრდულ სიმფონიურ ორკესტრთან ერთად მონაწილეობას მიიღებს ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიის შესრულებაში. ამ კონცერტსაც ჯანლუკა მარჩანო უდირიჟორებს.

*„ვერსიანიუსი“*



## შოთა მურღულია მერის მოვალეობის შემსრულებლად აღადგინეს

შოთა მურღულიას მერის მოვალეობის შემსრულებლად აღდგენის გადაწყვეტილება საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ლევან კირკიტაძემ მიიღო. საკრებულოს ყოფილმა თავმჯდომარემ თამაზ მარგველაშვილმა მერის მოვალეობის შემსრულებელს შოთა მურღულიას უფლებამოსილება 12 თებერვალს შეუჩერა, 14 თებერვალს კი, მან თანამდებობა საკუთარი ნებით დატოვა.

როგორც ლევან კირკიტაძე აცხადებს: **„მოგეხსენებათ, დღეს ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარეს, დეპუტატებმა უფლებამოსილება შეუწყვიტეს და მოვალეობის შემსრულებლად მე დავინიშნე. პირველი ბრძანება, რასაც ხელი მოვაწერე, ეს იყო მერის მოვალეობის შემსრულებლად შოთა მურღულიას დანიშვნა. ხვალიდან ქალაქის მერის მოვალეობის შემსრულებელი მურღულია იქნება“.**

*„პია“*



# კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა 10-მილიონიანი ულტიმატუმი თბილისის მერიას

### სახელმწიფოს 8 ათასამდე ადამიანის ფულადი კი არა, ბინის ვალი აქვს!

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

**საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-თბილისელების“ თავმჯდომარე გულიკო ზუმბაძე მერის მოვალეობის შემსრულებელ სევდია უგრეხელიძეს თბილისში დაუმთავრებელი საცხოვრებელი კორპუსების დასრულებისთვის ბიუჯეტში სახსრების გათვალისწინებას სთხოვს. მისივე თქმით, ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს სახელმწიფოს შიდავალად აღიარებული იმ კოოპერატიული მშენებლობის დასრულებაც, რომელიც 2005 წელს მერიას ბიუჯეტში ჰქონდა გათვალისწინებული და არ შეუსრულებია.**

გულიკო ზუმბაძე ამბობს, რომ ყველაფერ ამისთვის საჭიროა, დაახლოებით, 10 მილიონი ლარი: **„იმის გათვალისწინებით, რომ დღევანდელი მდგომარეობით შეზღუდული რესურსი გვაქვს და საბინაო პრობლემასთან დაკავშირებით, არც ერთიანი პოლიტიკაა ჩამოყალიბებული, ვფიქრობ, აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს ამ სერიოზული პრობლემის დაძლევის მიმართულებით, პროცესის დაწყებას, როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური ხელისუფლების დონეზე“.**

მისივე თქმით, საჭიროა, ქვეყანაში დაიწყოს თანმიმდევრული პოლიტიკა უბინაო მოქალაქეებისთვის სოციალურ საცხოვრისზე ხელმისაწვდომობისა და ნორმალური პირობებით უზრუნველყოფისთვის: **„საბინაო პრობლემა ყველაზე გლობალურია თბილისსა და საქართველოში... მერიას შესაძლებლობა აქვს, თბილისის საზღვრებში დაუმთავრებელ კორპუსებს ერთი-ორი სართული დააშენოს, აიღოს ეს ვალდებულება, გაწეროს ბიუჯეტში და დაიწყოს ამ პრობლემის მოგვარება“.**

ცნობისთვის: კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულები ბინების აშენებას წლებია, ითხოვენ. მათ საკუთარი პრობლემების შესახებ ბიუჯეტის პროექტის განსახილველად გამართულ ბოლო შეხვედრაზე საკმაოდ ემოციურად ისაუბრეს.

სევდია უგრეხელიძის თქმით, თბილისის მერიას ცენტრალური მთავრობის დავალების გარეშე, ამ საკითხის გადასაჭრელად ერთი თეთრის გამოყოფაც არ შეუძლია.

თბილისის საკრებულომ 2014 წლის ბიუჯეტის პროექტი მეორედაც არ დაამტკიცა — მხარი დაუჭირა 17-მა დეპუტატმა, 22 კი წინააღმდეგ წავიდა. ქვორუმისთვის საჭირო 24 ხმა იყო. კენჭისყრაში საკრებულოს სულ 39 დეპუტატი მონაწილეობდა.

როგორც საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილი აცხადებს, თბილისის 2014 წლის წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი აბსურდია და მისი მიღება გაუმართლებელია. მისივე თქმით, დისკრედიტირებული მთავრობა უნდა წავიდეს.

შიხიაშვილის შეფასებით, ეს, რეალურად, უტოპიური ბიუჯეტია, რისი შესრულებაც მოუწევს დედაქალაქის ახალ მთავრობას, რომელიც არჩევნებით, მაისის შემდეგ უნდა მოვიდეს: **„ეს იქნება თბილისის ახალი მთავრობისთვის დიდი ტვირთი, ვერ შეასრულებს ბიუჯეტის პროექტით განსაზღვრულ ამოცანებს და მოსახლეობას პრობლემები შეექმნება“.**

კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა ცენტრი „ერთობის“ მიმართულების კოორდინატორი ლაშა გეგეჭკორი კატეგორიულად მოითხოვს, ბიუჯეტში ბინების დასრულების ვალდებულება აისახოს. მისივე თქმით, თუ ამას თბილისის ახლანდელი ხელისუფლება არ გააკეთებს, 12 მარტის შემდეგ ქალაქში ცენტრალური ხელისუფლების მმართველობა შემოვა და პასუხისმგებლობაც მან უნდა აიღოს:

**„თავის დროზე, ადამიანები შეიკრიბნენ, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები შექმნეს და სახელმწიფოს თანხა გადაუხადეს, რათა საცხოვრებელი სახლები აშენებულიყო. სახელმწიფოს, საქართველოს მასშტაბით, 8 ათასამდე ადამიანის არა ფულადი, არამედ, ბინის ვალი აქვს. ეს მშენებლობა თბილისისა და რამდენიმე რაიონის მასშტაბით დაიწყო და ჯერ კიდევ 1991 წელს, მიწისძვრისა და სამოქალაქო ომის გამო შეჩერდა. მომდევნო წლებში უძრაობა იყო და მხოლოდ 1998 წელს, სახელმწიფოს ვალის შესახებ კანონის 48-მუხლის „ზ“ პუნქტით, კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობა სახელმწიფომ საშინაო ვალად აღიარა. იმ წელსვე, ფინანსთა სამინისტროს დაევალა, ვალის გადახდის წესი დაემუშავებინა და პარლამენტში, საფინასო-საბიუჯეტო კომიტეტში დასამტკიცებლად წარედგინა, რათა კომპენსაციების გაცემა დაწყებულიყო. ეს იმ წელს არ მომხდარა, მომდევნო წელს კი ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა 46-ე დადგენილება, ოღონდ მისი საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნება არ მოხდა და ამიტომ, ფაქტობრივად, იურიდიული ძალის არმქონეა.**

**დღეს თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ხუთი ასეთი დაუსრულებელი კორპუსია, ხუთივეში დაზარალებული ხალხი ცხოვრობს ცენტრალური კომუნიკაციების გარეშე — ერთმანეთისგან აქვს გადაყვანილი დენი, გაზი და ა.შ. აქ ცხოვრება სიცოცხლისთვის სახიფათოა. თან კორპუსების მდგომარეობა უკან მიდის, შესაბამისად, ვალიც იზრდება და სახელმწიფო ზარალდება.**

**ჩვენი წინადადებები საკრებულოში გულიკო ზუმბაძეს მივაწოდეთ. რამდენიმე შეხვედრა გვქონდა, მონაცემები დაამუშავა და საბიუჯეტო ორთაბრძოლისას საკითხი დააყენა — 10 მილიონი გამოყოფილიყო და საკითხი დაძრულიყო. პარალელურად, სახელმწიფოს მიერ, ჯერ კიდევ 2004 წელს შექმნილი კომისია მუშაობს და შედეგი ნულია. სხდომები იმართება, მერე, წევრების მონაცვლეობა ხდება, იცვლებიან მინისტრები, მთავრობის სხვა წევრები და რეალურ შედეგებზე არ გავსულვართ.**

**არ ვჩერდებით, ბოლო წინადადება მიწოდებულია და მერიამაც თქვა, გავითვალისწინებო. ოღონდ საუბარია მხოლოდ მშენებარე კორპუსებზე. 2012 წელს ბრძანება მერაბიშვილმა გამოსცა და მერიას კომპენსაციების გაცემის ვალდებულება მოუხსნა. კატეგორიულად მოვითხოვთ, ბიუჯეტში აისახოს ეს ვალდებულება. ახლა არ დამტკიცდება და 12 მარტამდე ხომ უნდა დამტკიცდეს? თუ არადა, ცენტრალური ხელისუფლების მმართველობა შემოვა ქალაქში და მან უნდა გაითავისოს ეს მოთხოვნა“.**

ქალაქის ნებისმიერ უბანში რომ გაიაროთ, ნახავთ, როგორ მწვავედ დგას დაუმთავრებელი მშენებლობის პრობლემა — ასეთ კორპუსებში ოჯახები წლებია, ურთულეს პირობებში ცხოვრობენ და მათი თანადგომა უპირველესი საზრუნავია — საბინაო პოლიტიკა დაუყოვნებლივ უნდა განისაზღვროს.

ვერსიანიუსი



## მერაბიშვილს თავისუფლების 5 წლით აღკვეთა მიესაჯა, ჭიაბერაშვილს კი 50-ათასლარიანი ჯარიმა დაეკისრა

მიხეილ სააკაშვილი ვანო მერაბიშვილის მიმართ სასამართლოს მიერ მიღებულ განაჩენს გამოეხმაურა და Facebook-ის გვერდზე „ქავერის“ სურათად შს ყოფილი მინისტრის ფოტო დააყენა. ვანო მერაბიშვილსა და ზურაბ ჭიაბერაშვილს განაჩენი ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლე ნათია ბარბაქაძემ გამოუცხადა და ექსპრემიერს თავისუფლების 5 წლით აღკვეთა, ჭიაბერაშვილს კი 50-ათასლარიანი ჯარიმა დააკისრა. გარდა ამისა, ვანო მერაბიშვილს წელიწადნახევრით თანამდებობის დაკავების უფლება ჩამოერთვა. თუმცა პროკურატურა ვანო მერაბიშვილისა და ზურაბ ჭიაბერაშვილის განაჩენის გარკვეულ ნაწილს გაასაჩივრებს, რის შესახებაც ოფიციალურ განცხადებას აქვეყნებს.

საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ვანო მერაბიშვილის ადვოკატის, გიორგი ჩივიაშვილის განცხადებით, დაცვის მხარე სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს ყველა ინსტანციაში გაასაჩივრებს: **„ჩვენ აუცილებლად გავასაჩივრებთ სასამართლოს გადაწყვეტილებას ყველა ინსტანციაში. ხედავთ, რომ დღევანდელი ხელისუფლების მხრიდან სასამართლოზე ზეწოლა ხორციელდება, რადგან სასამართლოს მიერ უგულებელყოფილი იქნა ყველა ის ფაქტი, რაც მერაბიშვილისა და ჭიაბერაშვილის დაცვის მხარეს ჰქონდა. მართალია, ჩვენ დიდი იმედი არ გვაქვს გასაჩივრების შემთხვევაში, რომ სამართლიანი განაჩენი იქნება გამოტანილი, თუმცა ამისთვის ყველა ინსტანციას გამოვიყენებთ“.**

*„ვერსიანიუსი“*

# „ჯეოსელში“ დიდი ოდენობით გადასახადის დამალვის სამი ვერსია

მაია მიშელაძე
593-51-90-12




უკავშირდება თუ არა საგამოძიებო მოქმედებები „რუსთავი 2“-ს და რატომ არ არის წინასაარჩევნო ნაცმოძრაობის დამფინანსებელთა ოფიციალურ სიაში „ჯეოსელი“

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, კომპანია „ჯეოსელის“ წინააღმდეგ, სისხლის სამართლის საქმე 218-ე მუხლით აღძრა, რაც დიდი ოდენობით გადასახადისაგან თავის არიდებას გულისხმობს. საგამოძიებო სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსმა, გიორგი გრძელიშვილმა „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, უწყება კონკრეტული დეტალების დაზუსტებისგან თავს იკავებს და განცხადებას გამოძიების დასრულებისთანავე გაავრცელებს. რატომ დაინტერესდა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური კომპანია „ჯეოსელით“, რას ნიშნავს დიდი ოდენობით გადასახადების დამალვა, განსაკუთრებით ისეთი კომპანიისგან, რომელიც საერთაშორისო ბაზარზე საკმაოდ კარგად ცნობილი „თელია სონერას“ ჯგუფის წევრია და ემუქრება თუ არა სისხლის სამართლის საჯელი „ჯეოსელის“ თანამშრომლებს, ეს ჯერჯერობით მხოლოდ ვარაუდის დონეზე შეგვიძლია განვიხილოთ.**

## „ჯეოსელის“ საქმის ოფიციალური ვერსია

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, გიორგი გრძელიშვილი „ვერსიასთან“ საუბრისას მხოლოდ იმას აკონკრეტებს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლი ორი ნაწილისგან შედგება: განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადებისგან თავის არიდებისგან, რაც 50 000 ლარის ზემოთ თანხის დამალვას გულისხმობს და დიდი ოდენობით გადასახადისგან თავის არიდებისგან, რაც 50 000 ლარზე ნაკლები თანხის დამალვას ნიშნავს, თუმცა კონკრეტულად, რომელ ნაწილში ედავებიან „ჯეოსელს“, ეს აღარ დაგვიზუსტა.

კომპანია „ჯეოსელის“ პრეზიდენტმა და აღმასრულებელმა დირექტორმა **პასი კოისტინენმა**, კომპანიაში მიმდინარე ფინანსურ შემოწმებასთან დაკავშირებით, წერილობითი განცხადება გაავრცელა, რომელშიც აღნიშნულია: **„ჩვენ ვადასტურებთ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შემოსვლას კომპანიაში. ამჟამად „ჯეოსელში“ მიმდინარეობს გარკვეული საგამოძიებო მოქმედებები, რომელიც მიზნად ისახავს გამოძიებისთვის საინტერესო ინფორმაციის ამოღებას. აქვე დავძენთ, რომ სამწუხაროდ, ჩვენთვის დღემდე უცნობია ფაქტობრივი გარემოებები, რაც საფუძვლად დაედო სისხლის სამართლის საქმის აღძვრას. ჩვენ ვართ საერთაშორისო კომპანია, რომელიც მოქმედებს გამჭვირვალე და პასუხისმგებლობით აღსავსე ეთიკური ბიზნესპრაქტიკით. არ გვაქვს არანაირი მიზეზი, თავი ავარიდოთ გადასახადებსა თუ სხვა სახის ვალდებულებებს. საქართველოში „ჯეოსელი“ ერთ-ერთი, უმსხვილესი გადასახადების გადამხდელია. კომპანიის არსებობის მანძილზე, „ჯეოსელის“ ნებისმიერი საქმიანობა/ოპერაცია აღრიცხული და დოკუმენტირებულია მსოფლიოს წამყვანი აუდიტორული კომპანიების მიერ. „ჯეოსელი“ გადადგამს ყველა სამართლებრივ ნაბიჯს, რათა მაქსიმალურად დაიცვას თავისი კანონიერი ინტერესები, ვიზრუნებთ, რომ გამოძიება წარიმართოს სრულყოფილად და საზოგადოებისთვის გამჭვირვალედ, რომლის საბოლოო მიზანი, სისხლის სამართლის საქმის დაწყების რეალური ფაქტობრივი საფუძვლების დადგენა იქნება“.**

## სისხლის სამართლის საქმის არაოფიციალური ვერსიები

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში კონკრეტულ კითხვებზე პასუხებისგან თავს იკავებენ და ეს გასაგებია, მაგრამ საინტერესოა, რატომ გაურბიან ამ თემაზე საუბარს ეკონომიკის ექსპერტები? არადა, არსებული ინფორმაციის საფუძველზე, შესაძლებელია, გამოიკვეთოს, კონკრეტულად რას და რატომ იკვლევს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური კომპანია „ჯეოსელში“?

**ვერსია პირველი** — დიდი ოდენობით გადასახადების დამალვა მედლის ერთი მხარეა. სინამდვილეში, საგადასახადო დავას კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გაუარესების სარჩული ახლავს. მას შემდეგ, რაც კომპანია ოსმან თურანმა დატოვა, რომელიც ნაციონალური მოძრაობის მაღალჩინოსნებთან დაახლოებული პირი იყო, „ჯეოსელს“ სიტუაცია „თელია სონერასთანაც“ კი დაეძაბა. ფინანსური დავა, რომელიც მულტინაციონალურ ჯგუფსა და საქართველოში მის შვილობილ კომპანიას შორის არსებობს, შესაბამისმა უწყებებმაც გამოიყენეს და „ჯეოსელში“ ფინანსურ დოკუმენტაციას ჩაუსხდნენ. „ვერსიის“ წყარო ამ ვერსიის თეორიულ შესაძლებლობას არ გამორიცხავს, თუმცა აზუსტებს, რომ ოსმან თურანის წასვლა აქ არაფერ შუაშია, რადგან „თელია სონერასა“ და „ჯეოსელს“ შორის არსებულ ფინანსურ დავაზე ამჟამად, კომპანიის ახალი ხელმძღვანელობაა პასუხისმგებელი.

**ვერსია მეორე** — რეალურად, „ჯეოსელის“ საგადასახადო პრობლემები, თინა ხიდაშელსა და „რუსთავი 2“-ის გენერალურ დირექტორს, ნიკა გვარამიას შორის არსებული დაპირისპირების ლოგიკური გაგრძელებაა. 2013 წლის სექტემბრის დასაწყისში, პარლამენტის ტრიბუნიდან, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარემ, თინა ხიდაშელმა სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი, ნიკა გვარამია დაკითხვაზე დაიბარა. თინა ხიდაშელმა „რუსთავი 2“-ისა და ტელეკომპანია „საქართველოს“ ფინანსური სქემა გაშიფრა. მისი მტკიცებით, ტელეკომპანია „საქართველოს“ ყველა ფინანსური ნაბიჯი „რუსთავი 2“-ისთვის არაპირდაპირი სიკეთის მიღებით იყო მოტივირებული. ხიდაშელი იმასაც ამბობდა, რომ სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“, სახელმწიფო ბიუჯეტიდან არაპირდაპირი გზით ფინანსდებოდა. ტელეკომპანია „საქართველოს“ შემთხვევაშიც ანალოგიური ვითარება იყო, რომელმაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან 26 000 000 ლარი აბსოლუტურად უკანონოდ მიიღო. ამ ისტორიის მნიშვნელოვანი დეტალი ის არის, რომ თინა ხიდაშელმა, ნიკა გვარამიას, „რუსთავი 2“-ის ეთერში რეკლამის განთავსების შესახებ ინფორმაცია და იმ კომპანიის დასახელება მოსთხოვა, რომელიც სარეკლამო მომსახურებას უწევდა.

ცხადია, თინა ხიდაშელს მაშინ კომპანია „ჯეოსელი“ საერთოდ არ უხსენებია, მაგრამ „ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, სწორედ „ჯეოსელი“ იყო კომპანია, რომლის საშუალებითაც ნაციონალური მოძრაობა, საკმაოდ სოლიდურ თანხას „რუსთავი 2“-ის ეთერში „რეცხავდა“. სავარაუდო სქემა არც ისე რთულად გასაშიფრი აღმოჩნდა, „ჯეოსელი“ ისედაც მსხვილი სარეკლამო დამკვეთი იყო ტელეკომპანიაში, რომელსაც ამ არხის ეთერში საკუთარი, საიმიჯო პროგრამებიც ჰქონდა. შესაბამისად, ამა თუ იმ გადაცემის წარდგენისას, კომპანია ბევრად უფრო დიდ თანხას იხდიდა, ვიდრე მისი რეალური ღირებულება იყო. ზედმეტად გადახდილი თანხა ხარჯებში ტარდებოდა, შედეგად კი „ჯეოსელს“ საშემოსავლო გადასახადის სახით, სახელმწიფო ბიუჯეტში საკმაოდ სოლიდური თანხა ეზოგებოდა.

„ვერსია“ კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის ერთ-ერთ წევრს, პარლამენტის დეპუტატს **ანი მიროტაძეს** დაუკავშირდა და კომპეტენტური წყაროს ინფორმაცია გადაამოწმა:

**„ვერსიის დონეზე, შესაძლებელია, კომპანია „ჯეოსელი“, მართლაც, ყოფილიყო ნაციონალური მოძრაობის ფინანსების გამტარი ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ში, მაგრამ ჩვენი კომისია 6 თვის მანძილზე კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის საქმიანობას სწავლობდა და არა ამ კონკრეტულ საკითხს. გიდასტურებთ, რომ ჩვენ არა მარტო „რუსთავი 2“-ს, არამედ სხვა ტელევიზიებსაც მივწერეთ, რომ იმ სარეკლამო დამკვეთების სრული სია მოეწოდებინათ ჩვენთვის, რომლებიც ტელევიზიებში რეკლამებს ათავსებდნენ, მაგრამ არცერთი მათგანისგან პასუხი არ მიგვიღია, ანუ სია არცერთ ტელევიზიას არ გადმოუცია. იქიდან გამომდინარე, რომ პარლამენტის საგამოძიებო კომისია მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტული საკითხის შესწავლით იყო დაკავებული, რაც უკვე გითხარით, ტელევიზიებისგან მეტი ინფორმაციის მოთხოვნის უფლება არ გვქონდა. შესაბამისად, ოფიციალურად ნამდვილად ვერ დაგიდასტურებთ, რომ მაინცდამაინც „ჯეოსელის“ საშუალებით ხდებოდა დიდი ოდენობით თანხის გათეთრება ტელევიზიებში. სამწუხაროდ, ჩვენ ეს საკითხი არ შეგვისწავლია და ინფორმაციას არ ვფლობ, მაგრამ თეორიულად, ნამდვილად შესაძლებელია, რომ წინა ხელისუფლებას ზუსტად იმ სქემით ემოქმედა, რომელზეც თქვენი წყარო საუბრობს. მეტსაც გეტყვით, არ გამოვრიცხავ, რომ ამ სქემაში, „ჯეოსელის“ გარდა, სხვა მსხვილი კომპანიებიც ყოფილიყვნენ ჩართულები, რომლებიც ბაზარზე აქტიურად ოპერირებდნენ, თუმცა ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ ვარაუდია“.**

**ვერსია მესამე** — კომპანია „ჯეოსელს“ დიდი ოდენობით გადასახადების დამალვას იმიტომ ედავებიან, რომ არაერთგზის ცვლილების მიუხედავად, მოქმედ საგადასახადო კოდექსში ჯერ კიდევ არსებობს ბუნდოვანი და ორმაგი ინტერპრეტაციის მქონე მუხლები. იმის გამო, რომ კომპანიის ხელმძღვანელობასა და ნაციონალური მოძრაობის მაღალჩინოსნებს შორის, ზედმეტად თბილი და მეგობრული ურთიერთობა იყო, კომპანიას საგადასახადო მიმართულებით, სასათბურე პირობებს უქმნიდნენ. უფრო ზუსტად, „ჯეოსელი“ გადასახადებს კი არ მალავდა, კოდექსში არსებული ორმაგი მუხლების საშუალებით, ისეთ ლავირებას ახდენდა, რომ საგადასახადო ვალდებულებასაც ასრულებდა და სოლიდური მოგებაც რჩებოდა. ახალი ხელისუფლების პირობებში, რომელიც ცდილობს, ბიზნესი თანაბარ პირობებში ჩააყენოს და სასათბურე პირობები არც ერთ კომპანიას არ შეუქმნას, კოდექსის ორმაგ მუხლებს თავს არიდებს და „ჯეოსელისგან“ საგადასახადო ვალდებულების აბსოლუტური სიზუსტით შესრულებას ითხოვს. სწორედ კოდექსში არსებული ორმაგი მუხლების ბრალია, რომ „ჯეოსელს“ დიდი ოდენობით გადასახადებისგან თავის არიდებას ედავებიან, თორემ წარმოუდგენელია ისეთ სერიოზულ კომპანიას, როგორიც „ჯეოსელია“, ამ ტიპის პრობლემა შექმნოდა.

**კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი დეტალი — „ვერსია“ დაინტერესდა, რა რაოდენობის თანხას სწირავდა კომპანია „ჯეოსელი“ ნაციონალურ მოძრაობას წინასაარჩევნოდ. 2010 წლის ადგილობრივი თვიმმართველობის არჩევნების პერიოდში, „ვერსიამ“ ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალურ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მაშინდელი მმართველი პარტიის შემომწირველების სრული სია გამოაქვეყნა. საინტერესოა, რომ უამრავ შემომწირველ კომპანიას შორის, „ჯეოსელი“ არსად ჩანს. „ვერსიამ“ ეს ინფორმაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ მკვლევართან, ლევან ნატროშვილთანაც გადაამოწმა, რომელმაც დაგვიდასტურა, რომ 2010 წელს, ნაციონალური მოძრაობის შემომწირველებს შორის, „ჯეოსელი“ არ ფიგურირებს.**

რაც შეეხება 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებს, ლევან ნატროშვილმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ იმ პერიოდში იურიდიული პირებისგან შემოწირულობები აიკრძალა და შესაბამისად, ვერც „ჯეოსელი“ და ვერც რომელიმე, სხვა კომპანია პარტიებს ვერ დააფინანსებდა. „ვერსიამ“ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს, ნაციონალური მოძრაობის შემომწირველი ფიზიკური პირების სიასაც გადახედა, სადაც უშუალოდ ბიზნესმენები და სხვა ფიზიკური პირები არიან შემომწირველები, თუმცა უამრავ ცნობილ ბიზნესმენს შორის, „ჯეოსელის“ ხელმძღვანელობის გვარებს ვერ მივაკვლიეთ. ლევან ნატროშვილის განმარტებით, მართალია, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს, იურიდიულ პირებს უკვე აღარ ეკრძალებოდათ ამა თუ იმ კანდიდატის დაფინანსება, მაგრამ პრეზიდენტობის კანდიდატები არცერთ კომპანიას არ დაუფინანსებია. ამ შემთხვევაშიც ძირითადი შემომწირველები ისევ ფიზიკური პირები იყვნენ. რა თქმა უნდა, არის კიდევ ერთი, ბანალური ბიზნესვერსია, რომელსაც დეტალურად არ განვიხილავთ, თუმცა არ გამოვრიცხავთ, რომ ახალი ხელისუფლებაც ისევე უწმენდდეს გზას კავშირგაბმულობის სხვა ოპერატორს, როგორც, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ გაუწმინდეს გზა „ჯეოსელს“ გია ჯოხთაბერიძის დაპატიმრებით.

# საოფისე სამსახური ქალებს ვნებს



სპეციალისტებმა ვანკუვერიდან განაცხადეს, რომ ოფისში მუშაობა ქალისთვის ადრეული სიკვდილის ერთ-ერთ რისკფაქტორად განიხილება და ამის გამო, სიცოცხლის ხანგრძლივობა 9 წლით მცირდება. თუ სუსტი სქესის წარმომადგენელი ასეთ სამსახურს მიატოვებს, ასევე უარს იტყვის მოწევაზე, ალკოჰოლის მიღებასა და ფასტფუდზე, სიცოცხლეს სწორედ 9 წლით გაიხანგრძლივებს. ოფისში მუშაობა, უპირველესად, ქალებს იმის გამო ვნებს, რომ ჯდომითი სამუშაო აქვთ — ამგვარ მდგომარეობაში მრავალი საათის გატარება კი გულსისხლძარღვთა დაავადებას, წონაში მატებას, შაქრიან დიაბეტს იწვევს. ჯანმრთელობას ზიანს აყენებს ასევე ჟანგბადის ნაკლებობა, რადგან ოფისში მომუშავე ადამიანები ცოტა დროს ატარებენ სუფთა ჰაერზე., შედეგად ორგანიზმი იფიტება და ქალს სილამაზეს ართმევს.



## მანათობელი უნიტაზები Kohler-ისგან

ფირმა Kohler-მა ახალი პროდუქცია იმ ადამიანებისთვის შექმნა, ვისთვისაც სიბნელეში საპირფარეშომდე მისვლა კოშმარია, ანთებული ნათურა კი ძილს უფრთხობს. სპეციალისტებმა ამ პრობლემის გადაჭრისთვის იზრუნეს და ინოვაციური გამოგონება — უნიტაზი LED–განათებით წარმოადგინეს, რომელიც ადამიანს დაეხმარება, სწრაფად მიაგნოს ტუალეტს. უნიტაზში ჩამონტაჟებული, ე.წ. მანათობელი, განსაკუთრებით მოსახერხებელი იქნება მამაკაცებისთვის. ფირმის დიზაინერთა განცხადებით, 4 ცალი AA ტიპის აკუმულატორი სავსებით საკმარისია, რომ უნიტაზი 7 თვის განმავლობაში იყოს განათებული.



## პიცა ჯარისკაცებისთვის

ამერიკელი ჯარისკაცების კვების რაციონში მალე, შესაძლოა, პიცაც შევიდეს, რომელიც გემოს სამი წლის განმავლობაში შეინარჩუნებს — რეცეპტი სწავლულებმა მასაჩუსეტსის სამხედრო ლაბორატორიაში შექმნეს და მასზე ორი წელი იმუშავეს. ჯარისთვის განკუთვნილი პიცის შექმნისას ძირითადი პრობლემა ტენთან ბრძოლა იყო, რომელიც პროდუქტს აობებდა, თუმცა, შაქრის, მარილისა და სოუსის სწორად განაწილების წყალობით, ეს პრობლემაც მოგვარდა. სწავლულებმა ასევე პროდუქტის მჟავიანობის მაქსიმალურ ბალანსს მიაღწიეს, რაც მის შენახვას უწყობს ხელს. ჯარისკაცებმა პიცა უკვე დააგემოვნეს და ახალმა პროდუქტმა მოწონებაც დაიმსახურა.

## „შპარგალკა" ყურში აღმოაჩინა

საუდის არაბეთის მცხოვრებს მედიკოსებმა ყურიდან „შპარგალკა" ამოუღეს, რომელიც 20 წლის წინ პაციენტმა იქ თავად მოათავსა. მას ამ ქაღალდის ნაგლეჯის იმედი ჰქონდა, როცა სკოლის ერთ-ერთ გამოსაშვებ გამოცდას აბარებდა. სწავლა საუდელმა წარჩინებით დაასრულა და ყურში ჩარჩენილი ქაღალდი, ალბათ, არასოდეს გაახსენდებოდა, ტკივილს რომ არ შეეწუხებინა. მამაკაცმა დაასკვნა, რომ მიზეზი ყურის ანთება იყო და სპეციალისტებს მიაკითხა, რომელთაც ყურის შემოწმებისას აღმოაჩინეს, რომ ტკივილის მიზეზი ყურში არსებული უცხო სხეული იყო — მათ ნიჟარიდან ქაღალდის ნაგლეჯი ამოიღეს. მამაკაცს კი მაშინ გაახსენდა, რომ სწორედ ეს „შპარგალკა" დაეხმარა გამოცდის წარმატებით ჩაბარებაში.



## „ღარიბებს" მანქანის ყიდვას უკრძალავენ

დუბაის მუნიციპალიტეტის მეთაური ჰუსეინ ლუტა აპირებს, ღარიბ მოქალაქეებს პირადი ავტომობილით სარგებლობა აუკრძალოს, რათა ქალაქში ტრაფიკი შეამციროს. ლუტას თქმით, მიუხედავად ინფრასტრუქტურის განვითარებაში ჩადებული დიდი ინვესტიციისა, მუნიციპალიტეტი ვერ უმკლავდება საცობებს — ყველას უნდა, ცხოვრება გაილამაზოს, მაგრამ ჩვენი გზები ვერ დაიტევს ყველა მანქანას და ეს კანონმა უნდა დაარეგულიროს, — ამბობს დუბაის მერი. ახალი ინიციატივით, მანქანის მფლობელებს შეზღუდვას დაუწესებენ ხელფასის მიხედვით და ვისაც საკმარისი ანაზღაურება არ ექნება, ვერც მანქანას შეიძენს.



## მობილური ტელეფონი — ბაქტერიების ბუდე



მობილურ ტელეფონზე უფრო მეტი ბაქტერიაა, ვიდრე უნიტაზის დასაჯდომზე, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ კომუნიკაციის საშუალება, სხვადასხვა დაავადების მიზეზი ხდება:

თვალის სიმშრალე — მეცნიერებმა Luton & Dunstable University-დან დაადგინეს, რომ რაც მეტხანს უყურებენ ბავშვები სმარტფონებს, მით დიდია მოზრდილობაში ახლომხედველობის რისკი.

ზურგთან დაკავშირებული პრობლემები — ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ბოლო დროს სულ უფრო მეტი ადამიანი უჩივის კისრისა და ზურგის ტკივილს

სახეზე გამონაყარი — სმარტფონებზე უამრავი მიკრობი „ბინადრობს", ჩვენ კი მას ლოყაზე ვიდებთ.

სმენის პრობლემა — მობილურებმა შეცვალა ფლეერები, ჩვენი კი თუნდაც საზოგადოებრივ ტრანსპორტში ხმაურისგან თავდასაცავად, მაღალ ხმაზე ვისმენთ მუსიკას და პრობლემებიც სწორედ აქედან გამომდინარეობს.



## შოკოლადის აბაზანა საყვარელი ადამიანისთვის

იაპონიაში ახლა საყვარელ ადამიანს შოკოლადის აბაზანას ჩუქნიან. ტოკიოში ერთ-ერთი სპა-სალონი კლიენტებს ნამდვილი შოკოლადით „უმასპინძლდება" და ამისთვის ყოველდღიურად სამი კგ პროდუქტი გამოიყენება. ასორტიმენტიც საკმაოდ მდიდარია — 25 სახეობის შოკოლადს კლიენტებს გემოვნების მიხედვით სთავაზობენ. აბაზანისთვის შოკოლადს ვიყენებთ, — ამბობს სალონის ერთ-ერთი თანამშრომელი და დასძენს, რომ სურნელი სხეულზე დიდხანს ნარჩუნდება. შოკოლადი ძლიერი აფროდიზიაკია, ამიტომ იდეის ავტორები იმედოვნებენ, რომ მათი აბაზანები წყვილებს ურთიერთობის განმტკიცებაში დაეხმარება. სალონში მსგავსი პროცედურები კვირაში ორჯერ ტარდება, მომსახურება კი 27 დოლარამდე ღირს.

## ნაყინი-აფროდიზიაკი შეყვარებულებისთვის

ბრიტანელმა მწარმოებელმა Yummy Yorkshire აფროდიზიაკი-ნაყინი გამოუშვა, რომელიც სტაფილოსა და მწვანე ილს (კარდამონი) შეიცავს. ახალი პროდუქტის ავტორთა განცხადებით, სტაფილო ილთან ერთად ანტიდეპრესანტია და შეყვარებული წყვილისთვისაა, ვისაც მძაფრი შეგრძნებები იტაცებს.



# უფასო კვებისთვის აეროპორტი არჩია



ჩინეთის ქალაქ შენსის მცხოვრებმა მამაკაცმა უცნაური მეთოდი გამონახა, მთელი წლის განმავლობაში VIP-დონის მომსახურებით უფასოდ რომ ესარგებლა. ამისთვის იგი კომპანია China Eastern Airlines-ის პირველი კლასის ბილეთს ყიდულობდა, შედიოდა მოსაცდელ დარბაზში და ყველა ბონუსით — უფასო საჭმელ-სასმელით, ინტერნეტითა და სპა-პროცედურებით სარგებლობდა. მაძღარი და დასვენებული, ბილეთს ცვლიდა და მეორე დღეს კვლავ მიდიოდა აეროპორტში. მთელი წლის განმავლობაში მან 300-ჯერ მაინც მოახერხა ამ „პროცედურების" ჩატარება, მაგრამ მისი „ოინი" შემთხვევით გამჟღავნდა — რომ არა მცირე შეცდომა, აეროპორტის თანამშრომლები ვერაფერს მიხვდებოდნენ, რადგან ყოველდღიურად ათასობით ადამიანს ემსახურებიან. თანაც, ეშმაკი ჩინელი ყოველდღე სხვადასხვა სალაროს ირჩევდა. ავიაკომპანიაში არ აცხადებენ, რა ბედი ეწია გამჭრიახ კლიენტს, თუმცა ფაქტია, რომ სამართალდამცავები მის დაკავებას ვერ შეძლებენ, რადგან კანონი არ დაურღვევია.



# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | | 3 | 1 | | | | | |
| | 1 | | | | 5 | | | 8 |
| | | 4 | 8 | | | | 9 | 3 |
| 5 | | | 3 | | | | | |
| 4 | | | 7 | | 8 | | | 2 |
| | | | | | 9 | | | 7 |
| 2 | 8 | | | | 4 | 3 | | |
| 1 | | | 6 | | | | 7 | |
| | | | | | 7 | 8 | | 5 |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 | 9 | 7 | | 6 | | |
| 5 | | | | | 3 | 2 | 1 | |
| | | | 5 | | | | | |
| 7 | 4 | | | | | | 8 | |
| | | | | 4 | | | | |
| | 5 | | | | | | 3 | 2 |
| | | | | | 6 | | | |
| | 9 | 2 | 8 | | | | | 7 |
| | | 7 | | 9 | 4 | 3 | | |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 8 | | | 4 | | |
| 9 | | | | | | | 2 | |
| | 6 | 5 | | | 1 | 3 | 9 | |
| | | | | | 8 | 5 | 4 | 7 |
| | | | | 5 | | | | |
| 5 | 7 | 2 | 3 | | | | | |
| | 3 | 7 | 6 | | | 1 | 5 | |
| | 8 | | | | | | | 4 |
| | | 6 | | | 4 | | | |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | | | | | 5 | 1 | | |
| 1 | 9 | 4 | 3 | | | | | 5 |
| 5 | 7 | | 4 | | | | | |
| | | | | 5 | | | 4 | 3 |
| | | 5 | | 4 | | 2 | | |
| 9 | 4 | | | 8 | | | | |
| | | | | | 4 | | 2 | 8 |
| 4 | | | | | 1 | 3 | 7 | 6 |
| | | 9 | 6 | | | | | 1 |

# C ვიტამინი კიბოს წინააღმდეგ



აშშ-ს კანზასის უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაადგინეს, რომ საკვერცხის კიბოს დროს, დიდი დოზით C ვიტამინის ვენაში შეყვანა, სტანდარტული ქიმიოთერაპიისას, ამ უკანასკნელის ტოქსიკურ ეფექტს აქვეითებს და ხელს უწყობს სიმსივნური უჯრედების განადგურებას. გასული საუკუნის 70-იან წლებში C ვიტამინი ონკოდაავადებისას გამოიყენებოდა, როგორც თერაპიის არასტანდარტული საშუალება, თუმცა, ამ ნივთიერების უსაფრთხოების მიუხედავად, ერთმნიშვნელოვანი სამეცნიერო მონაცემები მის კლინიკურ ეფექტურობაზე, ჯერჯერობით, არ არსებობს. ამერიკელმა სწავლულებმა ცდებში 27 პაციენტი ჩართეს, რომელთაც საკვერცხის მე-3-4 სტადიის კიბო ჰქონდათ, სტანდარტული ქიმიოთერაპია უტარდებოდა და ზოგ მათგანს, დამატებით, დიდი დოზით ვიტამინის ინექციებს უკეთებდნენ. მეცნიერები მონიტორინგს ხუთი წლის განმავლობაში ატარებდნენ და დაადგინეს, რომ C ვიტამინი არსებითად აქვეითებდა ქიმიოთერაპიის ტოქსიკურობას. მკვლევარებმა ისიც დაადგინეს, რომ ვიტამინის გარკვეული კონცენტრაცია სისხლსა და ქსოვილში კლავდა კიბოს უჯრედებს ისე, რომ არ აზიანებდა ჯანმრთელს. მიღებული შედეგიდან გამომდინარე, სწავლულები აცხადებენ, რომ საჭიროა უფრო მასშტაბური ცდები ასკორბინის მჟავასა და სტანდარტული ქიმიოთერაპიის პრეპარატების გამოყენებით.

# სიცივე — გახდომის ეფექტური საშუალება



ავსტრალიელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ სიცივისგან კანკალი, რომელიც ხანგრძლივი ფიზიკური დატვირთვის შემდეგაც ჩნდება, ასტიმულირებს თეთრი ცხიმის გარდაქმნას მუქ ცხიმად, რომელიც ენერგიას წვავს. მუქი ცხიმი, შესაძლოა, სიმსუქნესთან, ღვიძლის დაავადებასა და შაქრიან დიაბეტთან ბრძოლაში ახალი სამიზნე გახდეს. დიდი ხნის განმავლობაში მიიჩნეოდა, რომ მუქი ცხიმის ქსოვილი, რომელიც განვითარებულია პატარებში, ასაკის მატებასთან ერთად, ქრებოდა, თუმცა ახლა გაირკვა, რომ ის მოზრდილებშიც არსებობს. ბოლო გამოკვლევებმა აჩვენა, რომ მუქი ცხიმის წარმოშობას ხელს უწყობს სიცივე, მაგრამ გაურკვეველი იყო, რა გზით გადასცემდა სხეული უჯრედებს შესაბამის სიგნალს. ამისთვის, ავსტრალიელმა სწავლულებმა მოხალისეებზე ჩაატარეს ცდები — ისინი მოათავსეს ცივ ოთახში, კანზე დაუმაგრეს მოწყობილობა კუნთების ელექტრული აქტივობის შესაფასებლად და აიღეს სისხლის ნიმუშები ჰორმონების გასაზომად. ცნობილია, რომ, თუ ადამიანი იყინება, ორგანიზმის დასაცავად აქტიურდება მუქი ცხიმის უჯრედები, რომელიც ენერგიას სითბოდ გარდაქმნის, ხოლო, როცა ეს ენერგია არასაკმარისია, კუნთები მექანიკურად იკუმშება ან ცახცახებს, რათა სითბოს გამომუშავება გაგრძელდეს. ამ დროს იმატებს ორი ჰორმონის — ირიზინისა და FGF2-ის დონე, ექსპერიმენტმა კი ცხადყო, რომ ამ ჰორმონებმა გაააქტიურეს ენერგიის დამწველი მექანიზმი. მკვლევარები აცხადებენ, რომ მომავალში ამ ჰორმონების გამოყენება სიმსუქნის თერაპიისას შეიძლება.

# რატომ ტირიან ქალები

სპეციალისტების აზრით, ქალის ცრემლი, მხოლოდ სისუსტის გამოვლინება კი არა, სიცოცხლის გახანგრძლივების საშუალებაცაა — კვლევამ ცხადყო, რომ სწორედ ტირილი განაპირობებს ქალების სიცოცხლისუნარიანობას და რადგან ისინი უფრო ხშირად ტირიან ვიდრე მამაკაცები, ამიტომაც ცოცხლობენ ძლიერი სქესის წარმომადგენლებზე მეტხანს. ტირილი ემოციური შვებაა, ცრემლთან ერთად, ადამიანი სტრესს იხსნის და თავსაც უკეთ გრძნობს. გარდა ამისა, ცრემლის საშუალებით, ორგანიზმიდან გამოიდევნება მავნე ნივთიერებები.



# კიბოს უჯრედებს სათვალით „დაინახავენ“

ამერიკელმა მეცნიერებმა მაღალტექნოლოგიური სპეციალური სათვალე შექმნეს, რომელიც ქირურგებს საშუალებას მისცემს, ოპერაციის დროს დაინახონ ავთვისებიანი უჯრედები. ამ გამოგონების არსი იმაში მდგომარეობს, რომ სიმსივნის მიდამოებში კონტრასტული ნივთიერების შეყვანისას, კიბოს უჯრედები ლურჯად გაანათებს ახალი სათვალის ფილტრში, რისი წყალობითაც ექიმს შეეძლება, ადვილად ამოკვეთოს სიმსივნე  და რეციდივის ან მეტასტაზების წარმოქმნის ალბათობა საგრძნობლად შეამციროს. ამჟამად მოქმედი ქირურგიული ჩარევის სტანდარტი ითხოვს სიმსივნისა და მის გარშემო არსებული ქსოვილის ამოკვეთას, რადგან, შესაძლოა, ისინიც შეიცავდნენ ცალკე ავთვისებიან უჯრედებს. ვაშინგტონის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის მკვლევარების მიერ შექმნილი ტექნოლოგია ითვალისწინებს ვიდეოს ფუნქციას, გამოსახულებისა და მონიშნული მოლეკულების გამოყენებას, რომლებიც, სიმსივნურ უჯრედებთან შეერთებისას სპეციფიკურ ლურჯ შუქს ასხივებს. გამოგონების ავტორების განცხადებით, მოწყობილობას შეუძლია სიმსივნური წარმონაქმნი 1 მმ-ის დიამეტრშიც აღმოაჩინოს.



# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 4 | 7 | 8 | 6 | 5 | 1 | 3 | 2 |
| 2 | 1 | 8 | 4 | 9 | 3 | 6 | 5 | 7 |
| 3 | 6 | 5 | 7 | 2 | 1 | 4 | 9 | 8 |
| 7 | 5 | 3 | 9 | 8 | 4 | 2 | 6 | 1 |
| 1 | 8 | 9 | 6 | 5 | 2 | 7 | 4 | 3 |
| 6 | 2 | 4 | 3 | 1 | 7 | 9 | 8 | 5 |
| 5 | 3 | 6 | 2 | 7 | 9 | 8 | 1 | 4 |
| 4 | 9 | 2 | 1 | 3 | 8 | 5 | 7 | 6 |
| 8 | 7 | 1 | 5 | 4 | 6 | 3 | 2 | 9 |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 7 | 6 | 4 | 1 | 3 | 2 | 5 | 9 |
| 5 | 4 | 3 | 6 | 2 | 9 | 1 | 8 | 7 |
| 9 | 2 | 1 | 8 | 7 | 5 | 3 | 6 | 4 |
| 7 | 6 | 9 | 3 | 4 | 8 | 5 | 2 | 1 |
| 4 | 5 | 2 | 9 | 6 | 1 | 8 | 7 | 3 |
| 3 | 1 | 8 | 7 | 5 | 2 | 9 | 4 | 6 |
| 2 | 8 | 7 | 1 | 3 | 6 | 4 | 9 | 5 |
| 6 | 3 | 5 | 2 | 9 | 4 | 7 | 1 | 8 |
| 1 | 9 | 4 | 5 | 8 | 7 | 6 | 3 | 2 |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 2 | 1 | 4 | 8 | 5 | 7 | 9 | 3 |
| 9 | 4 | 8 | 7 | 6 | 3 | 5 | 2 | 1 |
| 7 | 5 | 3 | 9 | 2 | 1 | 8 | 6 | 4 |
| 5 | 1 | 4 | 3 | 9 | 2 | 6 | 8 | 7 |
| 3 | 6 | 2 | 8 | 1 | 7 | 4 | 5 | 9 |
| 8 | 9 | 7 | 6 | 5 | 4 | 3 | 1 | 2 |
| 4 | 8 | 9 | 1 | 7 | 6 | 2 | 3 | 5 |
| 2 | 3 | 6 | 5 | 4 | 9 | 1 | 7 | 8 |
| 1 | 7 | 5 | 2 | 3 | 8 | 9 | 4 | 6 |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 3 | 1 | 7 | 6 | 9 | 2 | 8 | 4 |
| 2 | 9 | 8 | 5 | 1 | 4 | 7 | 3 | 6 |
| 7 | 6 | 4 | 8 | 3 | 2 | 9 | 5 | 1 |
| 1 | 5 | 7 | 9 | 4 | 8 | 6 | 2 | 3 |
| 4 | 2 | 9 | 6 | 7 | 3 | 5 | 1 | 8 |
| 6 | 8 | 3 | 2 | 5 | 1 | 4 | 9 | 7 |
| 9 | 1 | 2 | 4 | 8 | 7 | 3 | 6 | 5 |
| 3 | 4 | 6 | 1 | 2 | 5 | 8 | 7 | 9 |
| 8 | 7 | 5 | 3 | 9 | 6 | 1 | 4 | 2 |

მე-10 გვერდი: 1. ნამი; 2. ზვარი; 3. მეღვინეთუხუცესი; 4. „ვრანგლერი“; 5. ნეილონი; 6. ედელვაისი; 7. კარე; 8. ენოტი; 9. დოლარი; 10. იუნონა; 11. ორგია; 12. ედო; 13. არშია; 14. აკნე; 15. ლუკა; 16. ნიში; 17. კაპონე; 18. სორო; 19. ნესი; 20. სუბმარინა; 21. ტილო; 22. ურო; 23. დინგი; 24. ქორონიკონი; 25. ოლეშა; 26. კორიდა; 27. ოდა; 28. ბინდი; 29. სლალომი; 30. დალმატინი; 31. ნაიდორფი; 32. ოქრო; 33. ფრუ; 34. ოჰაიო; 35. ლავა; 36. ლია; 37. რუპია; 38. რონდო; 39. ლოიოლა; 40. ლივ; 41. იპონი; 42. ნუმიტორი; 43. მელ; 44. ავრორა; 45. ჰაუსი; 46. სოლ; 47. რისკი; 48. იდო; 49. ტიხტიხი; 50. მუნ; 51. ფსონი; 52. ბილბოკე; 53. კაა; 54. იარისი; 55. მაიამი; 56. ვოლანი; 57. კიანუ; 58. უხა; 59. ლოტო; 60. ვიგვამი; 61. წაბლი; 62. წეკო; 63. ილი; 64. რონა; 65. აკვა; 66. იამბი; 67. მინდანაო; 68. ტირი; 69. ნაურუ; 70. ტროა; 71. ბროლი; 72. ბალუ; 73. ამონალი; 74. ლაბა; 75. არგუსი; 76. ბელი; 77. რუბლი; 78. ბია; 79. აია; 80. არი; 81. კობრა; 82. ეჩო; 83. სია; 84. ირისი; 85. ბროლია; 86. ბაო; 87. ერა.

მე-12 გვერდი: 1. სომერსეტ; 2. კაკაო; 3. ორთი; 4. პელე; 5. დოჟი; 6. მიქელანჯელო; 7. სამაია; 8. ტრაქტატი; 9. კარერასი; 10. კოვზი; 11. ტორპედო; 12. ზურაბი; 13. რავი; 14. „მოაზროვნე“; 15. ეფესი; 16. ვრანგელი; 17. გეიზერი; 18. გეტო; 19. ტიმორი; 20. ალიოხინი; 21. კვარტა; 22. ინტერვიუ; 23. რაფა; 24. დუ; 25. ალოე; 26. კასეტა; 27. რიალი; 28. სიო; 29. ალა; 30. კაისა; 31. ტარიგი; 32. ლეთარგია; 33. თამუნია; 34. როკერი; 35. იეს; 36. მესია; 37. ანისი; 38. რუმბი; 39. კურარე; 40. ცილა; 41. კოიოტი; 42. ხაო; 43. ნომოკანონი; 44. ავი; 45. ქსუ; 46. ნაი; 47. ცეცე; 48. ატა; 49. რიფი; 50. ირი; 51. ისო; 52. ლატი; 53. ნიუ; 54. ეთნარქი; 55. კოცნა; 56. პა; 57. გიორგობა; 58. იაგო; 59. სიუ; 60. კურსივი; 61. ალ; 62. ბატი; 63. ოტია; 64. აგა; 65. ფო.

1. განუწყვეტლივ მოძრავი კიბე
2. მთა რიო-დე-ჟანეიროში, რომელზეც აღმართულია იესო ქრისტეს ქანდაკება
3. მთის არწივი
4. სომხეთის დედაქალაქი
5. ფრინველის დასაჭერი მახე
6. აუქციონზე გასაყიდი ნივთი
7. იუველირის ქართული სახელწ.
8. ბავშვის გატაც. ფულის გამოძ. მიზნით
9. ჩაიკოვსკის ოპერა „მჭედელი ...“
10. მსახიობი ალენ ...
11. ბულგარეთის საკურორტო ქალაქი
12. კრივის მოედანი
13. საზღვაო ფლოტის უფროსი ძვ. საქართ.
14. ბილიარდის სათამაშო ჯოხი
15. ამოფესვის ნიშანი მათემატიკაში
16. ირლანდიის პროვინცია
17. „კომედიის მამა“
18. საეკლესიო მაგიდა
19. პატარა გამოქვაბული კლდეში
20. ნაყოფის და პლაცენ. დამაკავშირ. ორგანო
21. ნიგერის დედაქალაქი
22. პერუს დედაქალაქი
23. ტვირთმზიდავი ხარი
24. მუსიკალ. გამის VII ნოტი
25. იაპონიის დედაქალაქი
26. მსხვილი სასროლი ტყვია
27. სპორტ. შეჯიბრების დაწყების მომენტი
28. ფეხბ. სახელწოდება იტალიაში
29. სტომატოლოგის მოძვლებული სახელწოდება
30. ჰოლივ. მსახიობი რიჩარდ ...
31. ტბა აფრიკაში
32. სახოტბო ლექსი
33. ადამიანის ბიოველი
34. ქართული ხალხური საკრავი
35. კანის დაავადება
36. ... სოიერი
37. უმცირესი სამნიშნა რიცხვი
38. ციტრუსოვანი მცენარე
39. ქალაქი იტალიაში
40. მდინარე რუსეთში
41. გულშემატკივართა შეძახილი კორიდაზე
42. იაპონური შაში
43. მდინარე აღმოსავლ. საქართველოში
44. ირანის ფულის ერთეული
45. კედლის ჭაღი
46. ჯულიეტა მაზინას კინოროლი
47. ცხიმოვანი სიმსივნე
48. მოცარტის მოშურნე კომპოზიტორი
49. ჩასაბ. საკრავი
50. ხვალის მომდ.დღეს
51. მსახიობი ... ტაილერი
52. ქიმიური კავშირის სახეობა
53. პეტროვის მეწყვილე მწერალი „12 სკამში“
54. სახალხო მელექსე ... გურჯი
55. ვინჩენცო ბელინის ოპერა
56. მახრჩობელა გველი
57. (ძვ.) სიცხიანის სადები წამალი
58. თმის მცენარეული საღებავი
59. მუშაობის ერთეული
60. საგანგებო დავალება
61. ჩებურაშკას მეგობარი ნიანგი







გთხოვთ დარეკოთ




ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ


## შენდება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

**ზარის ღირებულება 1 ლარი**

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

**უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!**


**Appraisal.llc**

შპს „აპრაისალი“ გთავაზობთ,

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com



# ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, ნათია ვასაძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699



დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული
მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა
და ინფორმაციის სიზუსტეზე
პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის
შემთხვევაში დაგვიკავშირდით
14 დღის განმავლობაში.